



30 აპრილი, 2019



სამუშაო, №4 (2230)

თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის დაბადების 143-ე აღნიშვნა




23 აპრილს ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეა.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებამდე 143 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენით — „ივანე ჯავახიშვილი“ აღინიშნა.

ექსპოზიციის ივანე ჯავახიშვილის მემორიალს, ცნობილი დეკორატორის მიხეილ მამულაშვილის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

გამოფენას სოფელ ხოვლას საჯარო სკოლის მოსწავლეები და ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის წარმომადგენლები დაესწრნენ.



თსუ-ში ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა



დავით ფრანგიშვილი



სირდ ქლოთინგი



მამუკა ბახტაძე



დავით ფრანგიშვილი: ევროპის აკადემია, თბილისის ცენტრის გახსნით, აღიარებს ქართული მეცნიერებისა და კულტურის ევროპულ პოზიციას.

83. 3

ნომერები

■ „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა 10 წლისაა

83. 2

■ ვინ არის ფაკულტეტიდან ის სამი პროფესორი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიტატიული დაჯილდოვდა

83. 13

■ ქართული არქეოლოგიური მუცნიერების დიდი დანაკარგი



83. 15

ქართული ენის კვირეული

14-22 აპრილი, 2019

■ ქართული ენის კვირეულის გახსნის ცერემონია

83. 5

■ გამოფენა — „ბურჯი ეროვნებისა“

83. 6

■ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სამ მნიშვნელოვან ახალ კონკურსს იწვევს

83. 6

■ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა

83. 7

■ თედო უთურგაიძის დაუსრულებელ წიგნს „პატრონი“ გამოუჩნდა

83. 8

■ ქართველოლოგია — „გუშინ, დღეს, ხვალ“ (კონფერენცია)

83. 9

■ სტუდენტთა ქართველოლოგიური კვლევები

83. 9

■ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების წარდგენა

83. 9

■ თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ქართული მეტყველების კულტურის განუყოფილების ვებ-გვერდი წარადგინა

83. 10

■ რატომ მიაჩნია სახელმწიფო ენის დეპარტამენტს თინა მარგალიტაძის შრომა მისაბაძ მაგალითად

83. 11

■ ვინ დაჯილდოვდა ქართულ ენაზე ზრუნვისთვის

83. 12



„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა 10 წლისაა

საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო აკრედიტებული პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით უკვე 10 წელია ხორციელდება.



იუბილე კურსდამთავრებულებს და პროფესორ-მასწავლებლებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰუბერტ კნირშმა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ეკატერინე ქარდავამ და სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეებმა მიულოცეს.

ლი იყო. შესაბამისად, მან იცის — რამდენად საინტერესო და წარმატებული პროგრამაა. „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში საჯარო ადმინისტრირების განვითარებაში. გვყავს არა ერთი წარმატებული სტუდენტი, რომელიც დღეს მუშაობს საჯარო მმართველობის სფეროში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და სამოქალაქო საზოგადოებაშია წარმოდგენილი. თითოეულ მათგანს საკუთარი წვლილი

შეაქვს ქვეყნის განვითარებაში“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პროგრამის განხორციელებაში 10 წლის განმავლობაში აქტიური მონაწილეობისა და თანადგომისათვის მადლობის ნიშნად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადაეცა გერმანელ პროფესორ ზიგფრიდ მაგიერას. გერმანელმა პროფესორმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს ჯილდოსთვის.

შპაიერის უნივერსიტეტის პროფესორმა, საჯარო მმართველობის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა გერმანული მხრიდან კარლ-ჰეტერ ზომერმანმა აღნიშნა, რომ პროგრამის მთავარი იდეა ის იყო,

რომ შექმნილიყო ერთგვარი სინთეზი, რომელიც მომავალ საჯარო მოხელეს მისცემდა მრავალმხრივ განათლებასა და ცოდნას. „ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს გადავცეთ საერთაშორისო ევროპული ხედვა საჯარო მმართველობაში, რაც გულისხმობს მეტ საერთაშორისო და ევროპულ სამართალს. ჩვენ გვინდა გავაფართოვოთ სტუდენტების თვალთახედვა საერთაშორისო და დისციპლინარულ აზროვნებაში“, — აღნიშნა მან.

თსუ-ში „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის 10 წლის საიუბილეო ღონისძიებაზე მაგისტრის დიპლომები გადაეცათ 2018/2019 წლის კურსდამთავრებულებს.

ანდრეას ანორი: ჩვენი მიზანია, ეს ახალგაზრდები ისე მოვაზადოთ, რომ მათ მოეხდინებათ ჩვენი ახალი ეკონომიკის უზრუნველყოფა საქლონ

თამარ ღალიანი

გერმანული განათლება და გერმანული დიპლომი საქართველოში — ეს უკვე რეალობაა... 2009 წლის დეკემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ხორციელდება ინტერდისციპლინარული ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ ქ. შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე. 2015 წლის ივნისში პროგრამამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო საქართველოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

პროგრამის მიზნებსა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე გვესაუბრება ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ანდრეას ანორი, რომელიც თსუ-ს 1-7 თებერვალს სალექციო კურსის წასაკითხად სტუმრობდა.

ნებს. პროგრამა შეიქმნა 2009 წელს, გერმანელი და ქართველი მეცნიერების ახლო თანამშრომლობის საფუძველზე ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით. სასწავლო მოდულები მორგებულია საქართველოს საჯარო სექტორის წამყვანი პოზიციებისათვის საჭირო კვალიფიკაციებთან.

პროგრამის მისიაა სტუდენტების მომზადება სახელმწიფო სექტორში ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიწოდების საფუძველზე, რომელიც, აგრეთვე, ეფექტურად იქნება გამოყენებული კერძო სექტორში ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისათვის. პროგრამის არსებითი მიზანია ღია საზოგადოებაში, ერთის მხრივ, მოქალაქეებზე მორგებული და, ამავდროულად, სამართლის უზენაესობაზე დამყარებული საჯარო მმართველობის გატარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა შესაძლებლობას მისცემს მონაწილეებს მოახდინონ სხვადასხვა პრობლემებისა და გადასაჭრელი საკითხების ზუსტი იდენტიფიცირება. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სხვადასხვა ინტერდისციპლინური მიმართულებისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებით მიიღონ და გაუმკლავდნენ დაკისრებულ და წამოჭრილ გამოწვევებს.

სასწავლო პროგრამა მოდულარულად 2 წელიწადზეა განფორმებული. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძირითადი ლექციების „ტანდემ-ფორმატში“ განხორციელება, რაც გულისხმობს ევროპული და ქართველი პროფესორების მიერ ერთობლივი სალექციო კურსების მომზადებასა და ჩატარებას. ჩვენს პროგრამაზე ლექციებს კითხულობენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები და პროფესორები, როგორებიც არიან კარლ ჰეტერზომერმანი, ზიგფრიდ მაგიერა და ულრიხ შტელკენსი, რომელთა პროფესიონალიზმის შესახებ ცნობილია არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გერმანელ პროფესორებს პარტნიორობას უწევდნენ და უწევენ ისეთი ქართველი მეცნიერები თუ პრაქტიკოსები, როგორებიც არიან ირაკლი კობახიძე, პაატა ტურავა, დავით ნარმანი, მაია კოპალეიშვილი და სხვები.

— ეს პროგრამა მხოლოდ სტუდენტებისთვის არის გათვლილი თუ საჯარო მოხელეებსაც ეძლევათ შესაძლებლობა — კვალიფიკაცია აიმაღლონ?

— პროგრამა გათვლილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იმ პირთათვისაც, რომლებიც უკვე მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებებში და სურთ კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამის სწავლების პირველი წლის ბოლოს განსაზღვრულია სტუდენტთა 2-თვიანი



ანდრეას ანორი

პრაქტიკა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, ხოლო მეორე წლის ბოლოს სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა — ასევე 2-თვიანი პრაქტიკა გაიარონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვადასხვა ინსტიტუტში.

პროგრამის პირველი ნაკადის სტუდენტები პრაქტიკაზე უკვე იმყოფებოდნენ გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში (გერმანიის ფედერალური კონტროლის პალატა ქ. ბონი; ქ. მიუნხენის იუსტიციის სამინისტრო; ქ. ბერლინი, ეკონომიკის სამინისტრო; ქ. ბერლინი, საქართველოს საკონსულ და ა.შ.). უცხოეთის პრაქტიკების შემდგომ, სტუდენტები 2 კვირით მიწვეულნი არიან ქ. შპაიერში, საზაფხულო სკოლაში.

2015 წლიდან პროგრამის სრულ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა „ფოლკსვაგენის ფონდი“ („Volkswagen-Stiftung“). ეს გულისხმობდა უცხოელი ლექტორების ჩამოსვლისა და ჰონორარების უზრუნველყოფას, ყველა სტუდენტის საზაფხულო სკოლისა თუ უცხოეთის პრაქტიკებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას და პროგრამის სხვა საორგანიზაციო საკითხების ფინანსურ მხარდაჭერას. 2016 წლიდან პროგრამა თვითდაფინანსებაზეა.

— ეს პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, პრაქტიკოსი იურისტების, ასევე სტუდენტური სტიპენდიების დაფინანსებას სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ამის შესახებ რას გვეტყვი?

— გარდა ზემოაღნიშნული სამაგისტრო პროგრამისა, ქ. შპაიერთან თანამშრომლობის საფუძველზე ხდება უკვე პრაქტიკოსი იურისტების თუ საჯარო მოხელეების სტიპენდიების დაფინანსება ქ. შპაიერში სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად. ამ სტიპენდიის ფარგლებში ყოველწლიურად ხდება შპაიერის უნივერსიტეტში

მეცნიერ-მკვლევრების გამგზავრება 2 კვირიდან 2 თვემდე ვადით. ჩვენ გვაქვს სტიპენდიები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის. ამჟამად 3 დოქტორანტი გვყავს. ერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი მეც ვარ, დანარჩენი ორი სტუდენტის ხელმძღვანელი კი პროფესორი ზომერმანია.

მართალია, პროგრამის მთავარი მიმართულება საქართველოსთვის მოხელეების გადამზადებაა, მაგრამ ასევე არის მეორე მიმართულება, რომელიც სამეცნიერო მიმართულებით ამზადებს პროგრამის მონაწილეებს.

— რამდენიმე წელია, რაც ქართველ სტუდენტებს ხედვით. რა შთაბეჭდილება დატოვებს თქვენზე და როგორი კმაყოფილი ხართ მათი მომზადების დონით?

— პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად წარჩინებულ სტუდენტებს ვარჩევთ და გასაუბრებავს ვუტარებთ, ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია და საჭიროა ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა. სტუდენტების გარდა, პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. ისინი შეიძლება იყვნენ: იურისტები, ეკონომისტები, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები. ამ პროფესიის ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ განათლება საჯარო მმართველობის მიმართულებით. გერმანიაში უპირატესობა ყოველთვის იურისტებზე მოდიოდა, თუმცა ეს ტენდენცია უკვე შეიცვალა, ვინაიდან ინტერდისციპლინური მიმართულება არ გულისხმობს მხოლოდ სამართლის დარგში სპეციალიზირებას. სხვა პროფესიის წარმომადგენლები, მაგალითად ეკონომისტები, სხვა კუთხით უყურებენ და აანალიზებენ პრობლემას. სწორედ ეს არის ამ პროგრამის უპირატესობა, რომ სტუდენტებმა პრობლემის გადაჭრის არა ერთი, არამედ რამდენიმე მიდგომა განავითარონ პრაქტიკაში.

თსუ ღიაა სხვა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებისათვის. ის თავის გამოცდილებას ბევრ უნივერსიტეტს უზიარებს. რა თქმა უნდა, თსუ-სთან ჩვენი თანამშრომლობა ამის ბრწყინვალე მაგალითია, რომელიც სხვა უნივერსიტეტებისათვის მიმზიდველი ფაქტორია. რაც შეეხება ქართველ სტუდენტებს, მე მოხიბლული ვარ მათი მონდომებით.

— ამ პროგრამასთან დაკავშირებით რაიმე ახალი აქტივობა თუ იგეგმება სამომავლოდ?

— ჩვენ ყოველთვის ღია ვართ ცვლილებისთვის. ვცდილობთ, სასწავლო პროგრამის სიღრმეები დღევანდელ რეალობას მოვარგოთ. ჩვენი მიზანია, ეს ახალგაზრდები ისე მოვაზადოთ, რომ მათ მომავალში ამ ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა შეძლონ.



ტსუ-ში ევროპის ახალგაზრდათა თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა

1-ლი გვერდიდან

მაია ბორაძე

24 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჰაბი — ევროპის აკადემიის (Academia Europea) თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა. ღონისძიების ფარგლებში, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დაფუძნების თაობაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოუწერა ხელი. უკვე გაცხადებულია, რომ თბილისის რეგიონული ჰაბი ბიოკულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით იმუშავებს.

Academia Europea-ს თბილისის რეგიონული ცენტრის გახსნას დაესწრნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ევროპის აკადემიის პრეზიდენტი სირდ ქლოეთინგი, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორი დავით ფრანგიშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, 30-ზე მეტი უცხოელი მეცნიერი და თსუ-ის პროფესორები.

Academia Europea-ს რეგიონული ცენტრის გახსნა საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და აკადემიური საკითხია. იგი ხელს შეუწყობს მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული მიდევნების გამოყენებას, როგორც და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისთვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისთვის.

თბილისის ცენტრი მეცნიერებათა ევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრების ქსელის მეხუთე წევრია. თსუ-ში მისი გახსნის გადამწყვეტილება Academia Europea-ს მმართველი საბჭოს წევრებმა ბარსელონაში გასულ წელს ყოველწლიურ შეკრებაზე ერთხმად მიიღეს.

უნდა ითქვას, რომ Academia Europea-ს წევრი არაერთი ქართველი მეცნიერია. პირველი მათ შორის იყო აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, მასთან ერთად ევროპული აკადემიის წევრები არიან გიორგი შარვაშიძე, დავით ფრანგიშვილი, დავით ლორთქიფანიძე, ზაალ კოკაია და მერაბ კოკაია. საპატიო წევრია მიხეილ ჩხენკელი. თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორად არჩეულია ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ვირუსოლოგი დავით ფრანგიშვილი, რომელიც ამჟამად პასტერის ინსტიტუტის (პარიზი, საფრანგეთი) პროფესორია.

Academia Europea-ს თბილისის რეგიონული ცენტრის გახსნისა და თსუ-სა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებაზე უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ცენტრის თაობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნორვეგიის, ბრიტანეთის, ესპანეთისა და პოლონეთის შემდეგ, საქართველო არის მეხუთე ქვეყანა, სადაც ეს ცენტრი იხსნება. მთავარი და გამორჩეული ნიშა, რომელსაც თბილისის ცენტრი დაიკავებს, იქნება ბიოკულტურული მრავალფეროვნების კვლევები, რომლითაც ჩვენს რეგიონს შეუძლია განსაკუთრებული სიტყვა თქვას მსოფლიო მეცნიერებაში.



„ACADEMIA EUROPEA-ს ყველა ბანყოფილება აქვს თავისი სპეციფიკური მისია ევროპული მემორანდუმის საფუძველზე. ქართული მემორანდუმის ბრალისთვისა და ახალგაზრდათა რეგიონის თავისებურებას გათვალისწინებით, გასულია, რომ ჩვენი ბანყოფილება ფოკუსი იქნება ბიოკულტურული მრავალფეროვნებაზე, რათა მან ხელი შეუწყოს ბიოლოგიური, ენოლოგიური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების კომპლექსურ შესწავლას. ასეთ კვლევას, ბიოლოგიური და ენოლოგიური ურთიერთობების გამოვლინებას და მათ ანალიზს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო წლებში და უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება აუცილებელია კაცობრიობის მომავლისთვის. ეს მიმართულება საშუალებას იძლევა, რომ ქართული მეცნიერების მრავალი დარგის მიღწევა განხილული იყოს ერთ კონტექსტში და ამით იმპულსი მიეცეს მეცნიერებათა ამ დარგების განვითარებას, უკვე ევროპული მეცნიერების სივრცეში. ჩვენ ვიმუშავებთ სხვადასხვა ქვეყნების განათლების და მეცნიერების კვრეტთან და ამით ბიოკულტურული კვლევის არეალს გავავრცელებთ. მეტად გვექნება კონტაქტი სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებთან, მაგრამ არაფერია ამ საზღვრებსაღკვეთი და ევროპისკენაც ნაკლები“, — თქვა დავით ფრანგიშვილმა. მანვე აღნიშნა, რომ თბილისის ცენტრის აქტივობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიოკულტურული მრავალფეროვნებით. ცენტრი ხელს შეუწყობს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას.

მისი თქმით, ჰაბის წარმომადგენლობა გაიხსნება თსუ-ის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში. აქ იმუშავებს ახალგაზრდა პროფესორ-ნაღაბა ჯგუფი, რომელიც ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და მსოფლიო სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრაციაში დაეხმარება. „Academia Europea-სთან ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს „ახალგაზრდა აკადემია“. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ საქართველოშიც გაიხსნას ანალოგიური ჰაბი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს დაეხმარება და საშუალებას მისცემს — უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კვლევებსა და პროექტებში, რომლებსაც ევროპული გაერთიანება უჭერს მხარს“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორი, პროფესორი დავით ფრანგიშვილი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ევროპის აკადემია, თბილისის ცენტრის გახსნით, აღიარებს ქართული მეცნიერებისა და კულტურის ევროპულობას. „ქართული სამეცნიერო აზროვნება იმ დროიდან, რაც კოლხურ-იბერიული კულტურა ბერძნული არეალის შემადგენელი ნაწილი გახდა, ვითარდებოდა ევროპის სამეცნიერო აზროვნებასთან ერთად და, ზოგ შემთხვევაში, უსწრებდა კიდევ მას. ნიშანდობლივია, რომ ევროპის აკადემიის საქართველოს განყოფილება ასოცირებულია თსუ-სთან, რომელმაც ერთი საუკუნის წინ საფუძველი დაუდო ახალ ერას ქართული მეცნიერების ისტორიაში და გააცოცხლა ქართველი ერის ისტორიულ მემკვიდრეობაში შენახული სამეცნიერო აზროვნების ტრადიციები“, — აღნიშნა მან.

დავით ფრანგიშვილმა ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის გეგმებზეც ისაუბრა და სამეცნიერო საზოგადოებას ის ძირითადი მიმართულებები გააცნო, რომლებზეც ცენტრი იმუშავებს: „Academia Europea-ს ყველა განყოფილებას აქვს თავისი სპეციფიკური მისია ევროპული მეცნიერების განვითარებაში. ქართული მეცნიერების ტრადიციებისა და კავკასიის რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ ჩვენი განყოფილების ფოკუსი იქნება ბიოკულტურულ მრავალფეროვნებაზე,

რათა მან ხელი შეუწყოს ბიოლოგიური, ენოლოგიური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების კომპლექსურ შესწავლას. ასეთ კვლევას, ბიოლოგიური და ენოლოგიური ურთიერთობების გამოვლინებას და მათ ანალიზს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო წლებში და უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება აუცილებელია კაცობრიობის მომავლისთვის. ეს მიმართულება საშუალებას იძლევა, რომ ქართული მეცნიერების მრავალი დარგის მიღწევა განხილული იყოს ერთ კონტექსტში და ამით იმპულსი მიეცეს მეცნიერებათა ამ დარგების განვითარებას, უკვე ევროპული მეცნიერების სივრცეში. ჩვენ ვიმუშავებთ სხვადასხვა ქვეყნების განათლების და მეცნიერების კვრეტთან და ამით ბიოკულტურული კვლევის არეალს გავავრცელებთ. მეტად გვექნება კონტაქტი სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებთან, მაგრამ არაფერია ამ საზღვრებსაღკვეთი და ევროპისკენაც ნაკლები“, — თქვა დავით ფრანგიშვილმა. მანვე აღნიშნა, რომ თბილისის ცენტრის აქტივობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიოკულტურული მრავალფეროვნებით. ცენტრი ხელს შეუწყობს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას.

ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა სირდ ქლოეთინგმა ისტორიული უწოდა ამ დღეს და საზოგადოებას მოკლედ მოუთხრო ორგანიზაციის დაარსების ისტორიისა და მიზნების შესახებ: „1988 წელს, როდესაც ევროპაში პოლიტიკური ცვლილებები მიმდინარეობდა, მეცნიერთა ჯგუფმა იფიქრა, რომ ევროპას სჭირდება აკადემია. დღეს ამ გადამწყვეტილებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. აკადემია 4000 წევრს ითვლის მეცნიერების ყველა დარგიდან და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეცნიერების განვითარებაში. ძალიან ბევრი მკვლევარი შედის მასში და გვაქვს ძალიან ბევრი რესურსი, რომელიც უკვე საქართველოსთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. დავრწმუნდით, რომ ქართველი მეცნიერების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ჩვენ ვეწინააღმდეგებოდეთ იმ, რაც ხდება თბილისის მიმართ. დიდი მადლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და, განსაკუთრებით, რექტორს — ბატონ გიორგი შარვაშიძეს“, — ბრძანა ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა.

რეგიონული ცენტრის გახსნის მნიშვნელობასა და საქართველოს მთავრობის ამ პროექტისადმი მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ. გამოსვლაში მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქვეყნის ხელი-სუფლების პრიორიტეტულ არჩევანს — შემდეგი ათწლეულის განმავლობაში თავისი შიდა პროდუქტის 6% მიმართოს განათლებისკენ. „ამ რეფორმაში მეცნიერებას აქვს განსაკუთრებული როლი, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ იმ პოტენციალის 2-3 %-საც ვერ ვიყენებთ, რომელიც საქართველოში და მეცნიერებაში გვაქვს. ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგია გახლავთ ის, რომ სწორედ საქართველო უნდა გახდეს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი და ლიდერი, ბუნებრივია, მხოლოდ განათლებასთან ერთად“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ღონისძიებაზე დამსწრეებს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიმართვა გააცნეს: „მივესალმები მეცნიერების სფეროში ავტორიტეტული გაერთიანების — ევროპის აკადემიის გახსნას. ამ საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის გახსნა არის დადასტურება იმისა, რომ საქართველო არის სანდო პარტნიორი ევროპული სტანდარტის სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის. თსუ-ში მოღვაწეობდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები და ამ სამეცნიერო ტრადიციების გაცოცხლება უმნიშვნელოვანესია. განათლება არის უმთავრესი იარაღი განვითარებისთვის. მრავალმხრივი კვლევები რეგიონის შესახებ და ამ ცოდნის გაზიარება — სწორედ ეს არის მომავალზე ორიენტირებული ხედვა. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება რეგიონის სიღრმისეულ კვლევაში ევროპული თანამშრომლობის კარგი მაგალითი“, — ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის გახსნის მონაწილეებს, ასევე, მიესალმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, ვინც ჩართული იყო ცენტრის გახსნის პროცესში. „გუშინ საქართველოს პარლამენტში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, პირველი მოსმენით გავიდა კანონპროექტი საბიუჯეტო კოდექსის შეცვლის შესახებ, სადაც გაჩნდება ჩანაწერი, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტი მიემართება განათლებას. რეფორმები დაგეგმილია ყველა დონეზე და, ცხადია, მეცნიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ რეფორმაში. ვფიქრობ, ის გზა, რომელიც ავირჩიეთ, რაც გულისხმობს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რათა უმაღლესი განათლების სფერო და მეცნიერება ევროპული კვლევის და ინოვაციების სრულყოფილებიან წევრი გახდეს, ნიშნავს სწორედ იმას, რომ ჩვენი მეცნიერები უფრო გააქტიურდნენ და უფრო ფართო საერთაშორისო ასპარეზი მიეცეთ. ეს გამოისახება სამეცნიერო გრანტებსა და მობილობებში და, რაც მთავარია, მეცნიერების მეტ კომერციალიზაციაში, რაზეც ჩვენ ასე აქტიურად ვსაუბრობთ“, — განაცხადა ირინა აბულაძემ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა შეკრებილ საზოგადოებას მიულოცა ცენტრის გახსნა და აღნიშნა, რომ ეს არის იმ ტრადიციების გაგრძელება, რასაც ჯერ კიდევ ასი წლის წინ ჩაუყარეს საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა.

ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერით დასრულდა.



საუნიის ქართველი აზრები

შარტხია ბაროშვილი

„არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ეპოქას — რადგან ისინი „სხვანაირები“ არიან — სწორედ ასეთი იყო ჯემალ აჯიაშვილი, რომელმაც, უდავოდ, დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებისა და ქართულ-ევრაული კულტურული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. მისი ცხოვრება და შემოქმედება სამაგალითოა, რაც ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ იუბილეადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთო და არამედიაციისა და ებრაისტიკის დარგის მიმართ მათი დაინტერესება იზრდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიების გახსნაზე.



ჯემალ აჯიაშვილი

ბის საქმეში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჯემალ აჯიაშვილი ისრაელის სახელმწიფო კულტურის საკითხებში საქართველოს დესპანი იყო. მან მთელი თავისი მოღვაწეობა ამ ორი უძველესი ერის ურთიერთობას მიუძღვნა. მან ებრაული პოეტური კლასიკის თარგმანებით გაამდიდრა ქართული პოეზია. იგი ორივე ქვეყნის ლირსეული შვილი იყო. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და გამორჩეული ზნეობის ადამიანი მუდამ დაფასებული იქნება როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოში მის სსოვნას ლირსეულ პატივს მივაგებენ“, — განაცხადა ელჩმა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის თქმით, ჯემალ აჯიაშვილმა განუზომლად დიდი როლი შეიტანა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. მისი მთარგმნელობითი და პოეტური მოღვაწეობა ქართული კულტურის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაფათი ცური, რომელმაც ქართულ-ევრაული ურთიერთობების საქმეში ჯემალ აჯიაშვილის წვლილზე ვრცლად ისაუბრა: „ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც ჯემალ აჯიაშვილმა შეიტანა ქართველი და ებრაელი ერების კულტურული ურთიერთობების განმტკიცე-

ვით, „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის ლექსებისა და პოემა „ბურულუსტანის“ შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილებულია ორიგინალისა და მთარგმნის შედარებით ანალიზზე, თარგმანის პოეტურ და მხატვრულ თავისებურებებზე“, — აღნიშნა ნაირა ბეპიევამ. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ჯემალ აჯიაშვილის ნიგნების, ხელნაწერებისა და პირადი ფოტოების გამოფენა და დოკუმენტური ფილმის — „ჯემალ აჯიაშვილის“ ჩვენება, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოამზადა თსუ-ის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა ნინო გელოვანმა. პოეტური თარგმანის კონკურსში გამარჯვებული თსუ-ის სტუდენტი გიორგი ხულორდავა კი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს თსუ-ის პროფესორებმა და სტუდენტებმა. საინტერესო იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ნაირა ბეპიევას მოხსენება („ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები ოსურად“).

„ლიტერატურული ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია თარგმანი, რომელიც ინდივიდუალურ და საერთო მსოფლალქმებს აახლოებს. ლიტერატურული თარგმანის თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. შესაძლოა, ამ ისტორიის ნაწილი იყოს საქართველოში 1974 წელს დაარსებული ორგანიზაცია — მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია, მთარგმნელთა კოლეგია, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ეთნოსის მწერლებს, პოეტებსა და ფილოლოგებს. შესანიშნავი მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი, რომელმაც მსოფლიო პოეზიის ნიმუშები ქართულ ენაზე თარგმნა, სწორედ მთარგმნელთა კოლეგიაში მუშაობდა. ჩემს მოხსენებაში საუბარია ჯემალ აჯიაშვილის მიერ ოსური ენიდან თარგმნილი ოსი პოე-

ვლოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის და ებრაულ თემთა ევროკავშირის ორგანიზაციათა წევრი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ჯემალ აჯიაშვილმა თარგმანის მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები, ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიელი ებრაელი პოეტების ლექსები, ძველბერძნული და სპარსული პოეზიის ნიმუშები და სხვა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში წარმატებით დაიდგა მის მიერ მთარგმნი კარლო გოცის პოემა — ზღაპარი „ცისფერი უკუნეთი“ და ჩიკამაცუს დრამატული პოემა — „შეყვარებული თვითმკვლელთა კუნძულის ზეციურ ბაგზე“. ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას მან მიუძღვნა ისტორიული ესე — „გაიღვიძე ქნარო!“ — პიესა-მონოლოგი, რომელიც კოტე მახარაძემ დადგა ერთი მსახიობის თეატრში. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის იგი გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ივანე მაჩაბელის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ლირსების ორდენის კავალერი. ჯემალ აჯიაშვილს გადაეცა „საბა“ საუკეთესო თარგმანისთვის „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“. პოეტი და მწერალი 69 წლის ასაკში ისრაელში გარდაიცვალა.

ჯემალ აჯიაშვილი დაბა სენაკში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ სამსახურეობრივი მიზნებით იმყოფებოდა ირანში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთკავშირების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად; კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უცხო ენების ინსტიტუტში; იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომელი, ასევე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგე, ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. ჯემალ აჯიაშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, სამი მოწვევის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საქარ-

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიების გახსნაზე.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიების გახსნაზე.



ჯემალ აჯიაშვილი

საოლსუბაგომი განათლებისთვის მოსაზრებადი პროგრამა საქართველოს ოსურიანებადი ბარიბორიბაზა მცხოვრები აბიბორიანებადისთვის

კუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 70 ახალგაზრდა სკოლის-შემდგომი განათლების მოსამზადებელ პროგრამას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაივლის. მოსამზადებელი პროგრამა 17 აპრილიდან დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება. „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იწყება. მოსამზადებელი პროგრამა მათ საშუალებას მისცემს მოემზადონ, აირჩიონ პროფესია და შემდგომში შეძლონ სრულფასოვნად ისწავლონ არჩეული პროფესიით ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს ტერიტორიაზე. დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა ნახევარზე მეტი თსუ-ში გაივლის პროგრამას, მათი ნაწილი იცხოვრებს ლი-

სის საერთო საცხოვრებელში, სადაც მშვენიერი პირობებია შექმნილი საცხოვრებლად, სასწავლად“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ. პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მრიდან მონაწილეთა სასწავლო თუ საცხოვრებელი ხარჯების სრულ უზრუნველყოფას, როგორც მომზადების პერიოდში, ასევე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შემდეგ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილის თქმით, ეს პროგრამა არის კიდევ ერთი კონკრეტული ნაბიჯი საქართველოს უკეთესი მომავლისკენ: „პროგრამამ, ერთი მხრივ, უნდა გაუმარტივოს იმ ახალგაზრ-

დებს, რომელთაც მშობლიურ ენაზე განათლების მიღება შეუძლებელი აქვთ, იმ განათლების მიღება, რომელსაც ვერ ახერხებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და, მეორე მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრა. პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები მიიღებენ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით.“

2019 წელს პროგრამაზე დარეგისტრირდა 142 მსურველი, საიდანაც 70-მა მოსამზადებელი კურსის გავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაწყვიტა. აბიტურიენტების უმრავლესობა — 68 აბიტურიენტი გალის რაიონიდანაა, 2 კი — ახალგორის რაიონიდან. თსუ-ში დარეგისტრირებულებიდან 27 აბიტურიენტი მოსამზადებელი პროგრამის განმავლობაში თსუ-ის ლი-

სის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იცხოვრებს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისათვის განსაზღვრულია სამთვიანი ინტენსიური მოსამზადებელი პროგრამა, რომელსაც უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება განახორციელებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ აბიტურიენტები შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ორ გამოცდას ჩააბარებენ: ქართულ ენასა და

ლიტერატურაში (რომელიც სავალდებულოა პროექტში მონაწილე ყველა აბიტურიენტისთვის) და მომავალი პროფესიის მაპროფილბელ საგანში.

პროგრამა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით თსუ-სა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება.



ქართული ენის კვირეული

14-22 აპრილი, 2019

ქართული ენის კვირეულის გახსნის ცერემონია

ნატო ობოლაძე

ქართული ენის დღე
ნელს ყველაზე
მასშტაბური

ლონისძიებებით აღინიშნა. 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის მერიის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანა-ორგანიზებით ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა. ლონისძიება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დატული იაკობ გოგებაშვილის არქივის წარდგენით დაიწყო. პირველი კორპუსში თსუ-სა და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი გამოფენა — „საქართველოსა და ქართული ენის დამცველი“ — გაიხსნა, დაჯილდოვდნენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, თბილისის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები, სტუდენტები და მასწავლებლები. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში შეიმეცნებითი ინსტალაციები, გასართობი ლონისძიებები გაიმართა, მოეწყო საბავშვო კუთხე. დამონტაჟებული იყო სპეციალური მონიტორი, სადაც მნახველებს V-XVII საუკუნეების ქართული ხელნაწერების დათვალიერება შეეძლო.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული თსუ-ის რექტორის მოადგილემ ალექსანდრე ცისკარიძემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ხახტაძემ, პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ და ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა გახსნეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართული ენის განვითარების აუცილებლობის თაობაზე ისაუბრა.

„ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია გახლავთ ბრძოლა თავისუფლებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. 1978 წლის 14 აპრილი სწორედ ასეთი თარიღია, როდესაც ქართველმა ერმა ქართული ენისა და თვითმყოფადობის დასაცავად ერთსულოვნება გამოიჩინა. ქართული ენა XX საუკუნეშიც გამოწვევების წინაშე დგას — გულისხმობს მისი პოპულარიზაციის, განმტკიცების საჭიროებას და, რაც მთავარია, იგი არ უნდა ჩამორჩეს განვითარების ტემპს. ენა ცოცხალი ორგანიზმია

და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია — ქართულ ენაშიც აისახოს ის ტერმინოლოგია, რომელიც თან სდევს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. აუცილებელია, რომ ქართული ენა მაღალ დონეზე იყოს წარმოდგენილი ინტერნეტ-სივრცეში, რათა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს საშუალება მიეცეთ — შეილებს მშობლიური ენა დაბრკოლების გარეშე ასწავლონ. დარწმუნებული ვარ, სამოქმედო გეგმა, რომელიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა შეიმუშავა, საშუალებას მოგვცემს ყველა დასახულ მიზანს მოკლე ვადაში მივაღწიოთ. ამავე დროს, მივიღეთ გადაწყვეტილება და ზაფხულიდან ამ მიმართულებით დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩვენთვის განათლება პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც საქართველოს წინაშე არსებული ყველა გამოწვევის დამარცხებაში დაგვეხმარება.“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ხახტაძემ.

„შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ენის დღის აღნიშვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება. 14 აპრილს სწორედ თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები გახდნენ იმ დღი ამალეველები მოძრაობის მოთავეები, რამაც ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი დაიცვა. ჩვენთვის ეს ძალიან საამაყოა.“ — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქართველი ერის განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი: „საქართველო გამოჩნაკლისია, რადგან თვითონ ერმა დაანესა ქართული ენის დღე და ძალადობის გარეშე უდიდეს მიზანს მიაღწია. არავის ახსოვს, რომ საკუთარი ენა ასეთი თავგანწირვით რომელიმე ქვეყანას დაეცვა. მინდა მომავალ თაობას ვუთხრა — ისინი უნდა ამაყოფდნენ იმ ღირსებით, რომელიც წინაპრებმა მოუპოვეს“, — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

„მეცნიერებთან და საზოგადოებასთან ერთად ხელისუფლებაც აგრძელებს ქართული ენის დასაცავად ბრძოლას“, — ამის თაობაზე, ქართული ენის კვირეულის გახსნაზე, პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა აღნიშნა.

„40 წლის წინ ჩვენ შევინარჩუნეთ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა და მის დასაცავად მუშაობას არ ვწყვეტთ. ამ საქმეში უმთავრესია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილი, საიდანაც 1978 წლის 14 აპრილის მოძრაობა დაიწყო“, — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ქართული ენა დგას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე



მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხია. არანაკლებ აქტუალურია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლა, რისთვისაც უკვე რამდენიმე წელია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება. სწორედ პროგრამაში ჩართული მოსწავლეებისა და პედაგოგების ნახალებისა და სტიმულის მისაცემად ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი.

„1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ქუჩებში საპროტესტო აქციით დაიცვეს ქართული ენა, რომელიც ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, არქიტექტურის, მთლიანად სახელმწიფოებრიობის საყრდენია. მაშინ საბჭოთა იმპერიამ ვერ მოახერხა ამ საყრდენის გამოცლა. ის დღესაც ცდილობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ქართულ ენაზე მიზანმიმართული შეტევით, რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მცდელობა მარცხისთვის არის განწინრული, ისევე, როგორც საუკუნეების განმავლობაში სხვა არაერთი შეტევა. არ უნდა მოვდუნდეთ, ქართულ ენას სჭირდება დაცვა, გაძლიერება და განვითარება. ჩვენი პრიორიტეტული ამოცანაა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეთნოსისა და რელიგიისა, სახელმწიფო ენას ფლობდეს.“ — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, თბილისის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ქართული ენის დღეს



ნათლებლო პროცესს ოფიციალურად უბრუნდება. ეს კანონის დონეზე მოწესრიგებული გადაწყვეტილებაა და მომავალში ვერავითარი პოლიტიკა ამ ნაბიჯს ვერ შეცვლის. მოხარული ვარ, რომ საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მოახერხა და 2019 წელს, დედა ენის დღეს, ჩვენი საზოგადოება საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებით ხვდება.“ — განაცხადა ზაზა გაბუნიაძე.

გამოფენა — „1978 წლის 14 აპრილის ქრონოლოგია საარქივო მასალების მიხედვით“

1978 წლის 14 აპრილის ამსახველი აუდიო, ვიდეო ან ფოტო-მასალა შემონახული არ არის. ერთადერთი დოკუმენტური წყარო წერილობით სახით შემონახული სხვადასხვა წერილები, ჩანაწერები და განცხადებებია, რომელთა გამოფენაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კვირეულის ფარგლებში მოეწყო. გამოფენა — „1978 წლის 14 აპრილის ქრონოლოგია საარქივო მასალების მიხედვით“ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, თბილისის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო. 15 თემატურ ბანერზე 1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებული მოვლენები განთავსდა.

„მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, თუ როგორ იცავდნენ სტუდენტები, მეცნიერები და საზოგადოების წარმომადგენლები ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს თბილისში, აჭარასა და აფხაზეთში. ამ ბანერებზე წარმოდგენილია ტექსტები, საარქივო დოკუმენტები შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან; ინდივიდუალური და ჯგუფური წერილები ადმიანებისა, რომლებიც აპროტესტებდნენ კონსტიტუციის ახალ პროექტს“, — გვითხრა გამოფენის ორგანიზატორმა, ფილოლოგმა ანა ბაქანიძემ.

ქართული ენის კვირეულის გახსნის დღე 14 აპრილს ნიაზ დიასამიძის და ჯგუფ „პვა“-ს კონცერტით დასრულდა.

სკოლაში „დედა ენის“ დაბრუნების შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის კვირეულის გახსნაზე, საჯარო სკოლებში „დედა ენის“ დაბრუნების შესახებ განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა ზაზა გაბუნიაძემ. მისი განცხადებით, „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნებისთვის საკანონმდებლო და სამართლებრივი გარანტიები უკვე შექმნილია.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რადგან „დედა ენა“, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ფორმალურ საგანმა-



გამოფენა – „ბურჯი ეროვნებისა“

თამარ ღაღინაძე

„ბამოფენა — „ბურჯი ეროვნებისა“ არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ჩვენი ერისთვისაც უმნიშვნელოვანესი გამოფენაა, რადგან აქ არის წარმოდგენილი ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის უძვირფასესი ნაწილი“, — ასე შეაფასეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დედაენის დღესთან დაკავშირებით, 16 აპრილს გახსნილი გამოფენა — „ბურჯი ეროვნებისა“.

გამოფენის ექსპონატებს შორის გამოჩენილია გვიანი შუა საუკუნეების უნიკალური ხელნაწერი — გელათის გულანი (XI-XV საუკუნე). ასევე აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია — აკაკი შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.), უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველი დაცული დისერტაცია — არნოლდ ჩიქობავას „მარტივი წინადადება ქართულში“. მნახველთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 1978 წელს მისაღები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ვარიანტებმა, მათ შორის იმ პროექტმა, რომელმაც ქართული საზოგადოების საყოველთაო აღმ-



ფოთება გამოიწვია. აქვე იყო წამოდგენილი უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომები და ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული წიგნები. ლონისძიებს თსუ-ის ვიცე-რექტორი ალექსანდრე ცისკარიძე, ენის სახელმწიფო დე-

პარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, სტუდენტები, პროფესორები და სტუმრები ესწრებოდნენ. „სიმბოლურია, რომ ენის



გელათის გულანი

კვირეული იმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან სწორედ აქ გაღვივდა ის მუხტი პროტესტისა, რომელმაც საბოლოოდ მიგვიყვანა ჩვენი ენის, ერის გამარჯვებასთან. გამოფენაზე წარმოდგენილია ძალიან საინტერესო ექსპოზიცია, მათ შორის, ის მასალები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც უნივერსიტეტის, ისე ქართული სახელმწიფოს ისტორიასთან. ქართული ენის დღეს ტრადიციულად ვხეივობთ უნივერსიტეტში და მომავალშიც ასე გაგრძელდება,“ — აღნიშნა თსუ-ის ვიცე-რექტორმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის საცავებიდან გამოიფინა იშვიათი წიგნები, რომლებიც აჩვენებენ ქართული ენისადმი ჩვენი მეცნიერების დამოკიდებულებას. გამოფენას „ბურჯი ეროვნე-

ბისა“ დავარქვით. აქ წარმოდგენილია ცნობილ ენათმეცნიერთა, ასევე, უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომებიც, რომლებიც ასახავენ ჩვენი ენის სიღრმეს, მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. ჩვენ აქ პირველად გამოვფინეთ გვიანი შუა საუკუნეების უნიკალური ხელნაწერი — გელათის გულანი და განვაცხადეთ, რომ ვინც მის რესტავრაციას, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდება, შემდეგ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მკვლევრებთან ერთად, მოხდება მისი ტექსტოლოგიური კვლევა,“ — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

გამოფენის ორგანიზატორი გახლავთ თსუ-ის ბიბლიოთეკა. ლონისძიება, რომელიც 22 აპრილამდე გაგრძელდა, ქართული ენის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სამნიშვნელოვან ახალ ჯონაურსს იწყებს

მაია ბორაძე

ქართული ენის კვირეულის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 16 აპრილს პრეზენტაცია — „ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ქართველოლოგიური კვლევები“ — წარმოადგინა.

პრეზენტაციაზე ფონდის მისიისა და მიზნების წარმოდგენის შემდგომ ითქვა, რომ რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა არაერთი ღონისძიება მიუძღვნა კერძო სექტორის დაინტერესებას სამეცნიერო კვლევებით, რათა ინვესტიციები მოუზიდა, თუმცა ეს მცდელობა, ჯერჯერობით, წარუმატებელი აღმოჩნდა.

„შარშან, გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსში, ფაქტობრივად, ვაიძულეთ მკვლევრები, რომ რამენაირად ბიზნეს-სექტორს დაკავშირებოდნენ და მათთან ერთად, კონსორციუმის სახით, წარმოედგინათ საპროექტო განაცხადები, მაგრამ არც ეს გამოვიდა. უნდა ითქვას, რომ გამოყენებითი კვლევებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნეს-სექტორის დაფინანსებას. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, მაგრამ, ჯერჯერობით, კარგ პერსპექტივებს ვერ ვხედავთ“, — აღნიშნა ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო გაჩეჩილაძემ.

ფონდი აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს, საერთაშორი-



ნინო გაჩეჩილაძე

სო მობილობებსა და კვლევით სტაჟირებას, საერთაშორიო თანამშრომლობას, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და საერთაშორისო სამეცნიერო ინფრასტრუქტურაზე წვდომას (მაგალითად, ELSEVIER-ის პროდუქტებით სარგებლობას, ცერნის და დუბნას გადასახადის გადახდას და ა.შ.), ასევე იხდის „ჰორიზონტ 2020“-ში სანეწრო გადასახადსაც.

რაც შეეხება საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებსა და ქართველოლოგიურ კვლევებს, როგორც ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რუსთაველის ეროვნული ფონდი ოპერირებს ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციით, რომელიც ევროპის უმეტესი ქვეყნებისთვის სტანდარტია. ეს მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ინჟინერიასა და ტექნოლოგიებს, მედიცინისა და

ჯანმრთელობის მეცნიერებებს, აგრარულ მეცნიერებებს, სოციალურ მეცნიერებებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: ისტორია, არქეოლოგია, ენები, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა. ფონდმა კლასიფიკაციის მიხედვით შეიქმნა თავისი წვლილი — დაამატა მეშვიდე მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერება და დაფინანსებისთვის ცალკე ფინანსური კალათა გამოყო, რომელიც დღეისათვის, წინა წლების ვალდებულებების ჩათვლით, 32 მილიონია. რაც შეეხება გასაცემ/თავისუფალ თანხას, როგორც ნინო გაჩეჩილაძემ აღნიშნა, ის მხოლოდ 7-8 მილიონს შეადგენს.

„ჩვენ ასევე გვაქვს კონკურსებისა და პროგრამების სპეციალური პაკეტი, რომელსაც ვუწოდებთ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსი, რომელიც 2009 წლიდან მიმდინარეობს და ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება. აქ მოიაზრება ქართული ენის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა ევროპულ უნივერსიტეტებში, რასაც ქალბატონმა მარინა ჩიტაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. მისი თაოსნობით დაიწყო ეს პროგრამა ოქსფორდის უნივერსიტეტთანაც. შედეგად, 2015 წლიდან ვაფინანსებდით ორ

ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც მივიღებდით იქნებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტში და კვლევას განახორციელებდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაზაზე. 2018 წლიდან კონკურსი მოდიფიცირდა და სამი ახალგაზრდა მეცნიერის დაფინანსება შეეძლო. კვოტირების მიხედვით, დაფინანსდება ერთი ახალგაზრდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მეორე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ხოლო მესამე დაფინანსება გამოყოფილია ოლივერ და მარკორი უორდროპების კვლევაზე, რომელზეც დიდ იმედებს ვაწყარებთ“, — განაცხადა ნინო გაჩეჩილაძემ.

გარდა ამ პროგრამისა, თსუ-ის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 2018 წელს ხელი მოეწერა თსუ-ს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და 7 ევროპულ უნივერსიტეტს შორის შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც, ახალგაზრდა მეცნიერები ამ უნივერსიტეტებში შეძლებენ კვლევებზე მუშაობას. ნინო გაჩეჩილაძის თქმით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რადგან ახალგაზრდა მეცნიერი/მკვლევარი ერთი ან ორი სემესტრით ფინანსდება. გარდა კვლევისა, მას საგრანტო ხელშეკრულებით ექნება ვალდებულება, რომ ქართული ენის შესახებ იქ წაიკითხოს ლექციები, რითაც ქართული ენისა

და კულტურის პოპულარიზაციაც მოხდება. ამ გრანტებში ექსკლუზივი ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ 2019 წლიდან იწყება სამი მნიშვნელოვანი ახალი კონკურსი, რომელთაგან ერთი კავკასიოლოგიის, მეორე — საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, ხოლო მესამე — საზღვრისპირა რეგიონების კვლევითი პროექტების ხელშეწყობის მიზნით გაიჭედა. „ჩვენ ძალიან ხშირად გვხვდება გადანიშნული, დამახინჯებული ისტორია: მაგალითად, საზღვრის პირას არსებულ ძეგლებზე ამბობენ, რომ თურქული იყო, ან სომხური იყო და სხვა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება — ამას დაუპირისპიროთ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოცემები და კვლევები, რასაც ძალიან განიცდიან ჩვენი მეცნიერები. ამისთვის შეიქმნა ეს სამი კონკურსი, რომელიც ხელს შეუწყობს დიდი ხნის ოცნების — საქართველოს, როგორც კავკასიოლოგიის „ჰაბად“ გადაქცევის იდეის განხორციელებას. პირველი კონკურსი წელსვე გამოცხადდება“, — აღნიშნა ნინო გაჩეჩილაძემ და დასძინა, რომ ამ კონკურსების შედეგად რამდენიმე წელიწადში გვექნება მასალა, რომ ყოველად უსინდისო გამოცემებსა და სამეცნიერო პროდუქციას, რომელსაც გვიპირისპირებენ ხოლმე სხვადასხვა გამოფენებზე, მათ შორის ფრანკფურტშიც, სათანადო პასუხი გავცეს.



სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა

თამარ ლაღიანი

თსუ-ში სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე — „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა“. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით, ქართული ენის სტატუსის განმტკიცებისა და გაძლიერების პრობლემები, რაც გასულ წლებში იყო, დღეს სულ სხვა ფორმით წარმოჩინდა. „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი კიდევ უფრო გააქტიურებს თავის საქმიანობას და იზრუნებს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გამყარებაზე. ამ მიზნით სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები მუშაობა — ეს არის ენის ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, ანუ ენობრივი პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგია. მისი მთავარი აქცენტი — თუ რა მიმართულებით უნდა ვიაროთ, რათა ჩვენი მიზანი წარმატებით შესრულდეს. სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან მუშაობს ექსპერტთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა თაობის ენათმეცნიერი. ენობრივი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა ცნობიერების ამაღლებაა და საჭიროა, ამ მიმართულებით სოციალური კამპანიაც დაიგეგმოს. დეპარტამენტი, ასევე, მუშაობს შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების სრულყოფაზე. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანადგომა, რაც მან სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიმართ გამოხატა 2019 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოქმულ სიტყვაში,“ — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.



სტრუქტურის ჩარჩოსა და საორგანიზაციო იერარქიის შექმნაზე. ენობრივი პოლიტიკასა და არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ენის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრით დაიწყო თავისი პრეზენტაცია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსმა, თსუ-ის პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ. მან იმსჯელა სახელმწიფო ენის შესახებ კანონში ენათა იერარქიაზეც. „სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების ფუნქციებზე, ნებისმიერი სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკაზე წარმოდგენა გვექმნება იმის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის რა ნაწილი იხარჯება ქვეყნის ენობრივი პრობლემების მოსაგვარებლად. ამჟამად საქართველოს ბიუჯეტში არის სპეციალური პროგრამა, რომელიც არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლებას ისახავს მიზნად. ფაქტია, რომ სახელმწიფო ენის გაძლიერებას, მისი კონსტიტუციური სტატუსის დაცვასა და პოპულარიზებას მხოლოდ ეს პროგრამა არ ჰყოფნის. „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონმა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის ინტერესები უნდა ასახოს, დაიცვას და დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ამიტომ კარგად უნდა ჩავიხედოთ „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონში. მაგალითად, იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება აქვთ — დაადგინონ განსხვავებული წესი ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნის შესახებ. მაგრამ, კანონის მიხედვით, სრულიად გაუგებარია იმ უმცირესობის წარმომადგენლების მდგომარეობა, ვინც კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში არ ცხოვრობს“, — ამბობს თინათინ ბოლქვაძე. მან სპეციალურად იმსჯელა, როგორ ასახავს საქართველოში ენათა იერარქიას სახელმწიფო ენის კანონი და კანონის რომელი ჩანაწერების გაუმჯობესება სჯობს ამ მიმართულ-

ბით. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს სკოლებში ენების სწავლების და ამ ენებზე შექმნილი სახელმძღვანელოების საკითხზეც. პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ აგრეთვე ისაუბრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მუშაობაზე. ექსპერტთა კომისიამ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. „კომისიამ განიხილა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა ლიტვის ავთენტური სახელის — ლიტუვას — მიღება ამ ქვეყნის ოფიციალურ დასახელებად. ეს საქართველოს მხრიდან იყო საპასუხო ნაბიჯი ლიტუვას მიერ საქართველოს ავთენტური სახელის შემოღებაზე ლიტუვურ ენაში. ამას გარდა, ექსპერტთა კომისიამ სპეციალურად იმუშავა ქართული ენის ბგერითი სისტემის ლათინურად ტრანსლიტერაციის, ინგლისური ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსლიტერაციის განახლებული და შევსებული, აგრეთვე იაპონური და ჩინური ენების ქართულად ტრანსლიტერაციის წესებსა და ქართული ენის ფლობის დონეთა ზოგად სტანდარტებზე. ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი დოკუმენტები სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა გაუგზავნა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. მომზადდა და გამოიცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პირველი ბიულეტენი — „გავრცელებულ ენობრივ შეცდომათა ლექსიკონი“. დაწყებულია მუშაობა იუსტიციის სამინისტროსთან საკუთარი სახელების სწორი ქართული და ინგლისურენოვანი დაწერილობის ბაზების შესაქმნელად. აქ მივაღწიეთ მტკივნეულ საკითხს: თუ 2011 წლის დეკემბრიდან დაბადებული ადამიანის სახელი არ არის ხმოვანფუძიანი, მის სახელს პასპორტში ემატება სახელობითი ბრუნვის ნიშანი — ი, რომელიც შემდეგ გადაჰყვება ყველა დოკუმენტში, რაც არღვევს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. მაგალითად, პასპორტში არის ჩანაწერი „თამარი გოგასძე“ და ამ ჩანაწერზე

დაყრდნობით, მაგალითად, დიპლომში იწერება: „დიპლომი მიეცა თამარი გოგასძეს“ — ეს ქართული ენის ნორმების მიხედვით შეუწყნარებელია! რამ გამოიწვია კანონში ცვლილება, ეს ვერ დავადგინებ, მაგრამ პირადობის მონომობასა და პასპორტში გვარის წინ სახელობითი ბრუნვის ნიშანი სახელს არ უნდა ერთვოდეს. ამ მუხლის აღდგენა კანონში აუცილებელია. შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ვმუშაობთ ამ ხარვეზის გამოსასწორებლად,“ — აღნიშნა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ, რომელმაც ყურადღება თბილისის ქუჩების სახელების დაწერილობაზეც გაამახვილა.

„მეორე საკითხია თბილისის ქუჩების დაწერილობის ინგლისური თარგმანების უნიფიცირებული ბაზა, რომელიც ექსპერტთა კომისიის დასკვნის საფუძველზე უნდა წარდგინოს თბილისის მერიას. ამასთან ერთად შემუშავდა პრინციპები, რომლებიც საფუძველად უდევს ამგვარ უნიფიცირებას და სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად,“ — აღნიშნა ენათმეცნიერმა თინათინ ბოლქვაძემ. მან აბრუნებდა დაკავშირებულ საკითხებზეც ისაუბრა: „მომზადდა ცვლილებები „სახელმწიფო ენისა“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონების ჰარმონიზაციისათვის. რეკლამის კანონი ტრანსლიტერაციის საოცარი ფორმით ითხოვს: სიტყვაში გრაფიკული ნიშნების რაოდენობა ქართულ წარწერაში უნდა ემთხვეოდეს იმ ენიდან გადმოტანილი ნიშნების რაოდენობას, რომელზეც ეს წარწერაა გაკეთებული. ეს კი აბსურდია! აბრუნებ დაშვებული შეცდომების მორბილი ნაწილი სწორედ რეკლამის კანონის შესრულებით არის გამოწვეული. კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრუნებ წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო, სურვილის შემთხვევაში, იგი შეიძლება შესრულდეს, აგრეთვე, უცხოურ ენაზე. ამასთან, უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა, საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა,“ — განაცხადა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ. მან საინტერესოდ ისაუბრა ახალი ბარბარიზმების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, ქართული ენის ნაწილად იქცნენ. ძალიან მნიშვნელოვანია სატელევიზიო პროპაგანდა ქართულის კონსტიტუციური სტატუსის დაცვისა და პოპულარიზაციისთვის. ამ მიზნით გამოყოფილია ოთხი მიმართულება, მაგრამ მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია გამოეხმაურა ამ ნაშრომებს. სხვა ტელევიზიებიდან ჯერ მხარდაჭერა არ ჩანს.

და ბოლოს, პროფესორმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიზნებზე, რომელიც ითვალისწინებს ენობრივი პოლიტიკის ერთიანი სტრატეგიის შექმნას და მის წარდგენას საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად. უახლოესი მიზნები კი ასეთია: ოკუპირებული ტერიტორიების ლინგვისტური დოკუმენტირება, ონომასტიკური ლექსიკონისა და ლინგვისტური რუკების შედგენა, ქართულის, როგორც მეორე ენის, დისტანციური სწავლების კურსისა და აფხაზური ენის დისტანციური სწავლების კურსის შექმნა.

როგორც ენათმეცნიერმა თინათინ ბოლქვაძემ აღნიშნა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ერთიანი ენობრივი პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის შესაქმნელად გააგრძელებს როგორც სამუშაო შეხვედრებს, ასევე საჯარო განხილვებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად და ხელს შეუწყობს როგორც ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, ასევე არსებული კანონმდებლობის აღსრულებას სახელმწიფო ენის დასაცავად.



თედო უთურგაიძის დაუსრულებელ ნიგნს „პატრონი“ გამოუჩნდა

16 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თედო უთურგაიძე გაიხსენეს. ღონისძიების ინიციატორი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი გახლდათ, რომელსაც პროფესორ თედო უთურგაიძის ოჯახმა ბიბლიოთეკის მცირე ნაწილი გადასცა.

ღონისძიებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ესწრებოდნენ თედო უთურგაიძის კოლეგები, რომელთა უმრავლესობა თავის დროზე ბატონი თედოს სტუდენტი იყო. „ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონი თედო ჩვენ შორის აღარ არის და ჩვენ გადავწყვიტეთ — გაგვეხსენებინა იგი სწორედ ენის კვირეულის დღეებში, რადგან თედო უთურგაიძე ჭკმ-მართიად მშობლიური ენის ამაგდარი და მოამაგე გახლდათ. ამ დღესთან დაკავშირებით ქართული ენის ინსტიტუტში მოეწყო ბატონი თედოს კუთხე, ოჯახის წევრებმა გადმოგვცეს ფოტოსურათები და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ფოტოებში გაცოცხლებულ ბატონი თედოს ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები; შევეცდებით, ყოველთვის გავიხსენოთ ჩვენი მასწავლებელი, რომელიც მუდამ ჩვენთან იქნება. იგი ქართული ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელიც 2018 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა“, — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ.

წარმოდგენილი ფოტოსურათები სხვადასხვა დროს იყო გადაღებული ექსპედიციებზე და ღონისძიებებზე. პროფესორმა რამაზ ქურდაძემ ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ ფოტოზე, რომელზეც 2013 წელს ბატონი თედოს ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოება აღებქდელი ბატონი რამაზის თქმით, თედო უთურგაიძემ ეს ჯილდო ძალიან დიდი აღიარებად ჩათვალა, რადგან დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელსა და მშობლიურ უნივერსიტეტს უკავშირდებოდა. უნიკალურმა ფოტომასალამ დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ბატონი თედოს კოლეგებს, კიდევ ერთხელ გაახსენა ის რთული და საინტერესო გზა, რომელიც ღირსეულად განვლო ბატონმა თედო უთურგაიძემ.

„ცნობილია, რომ აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას შორის რაღაც ეტაპზე დაძაბული ურთიერთობა იყო, რაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პრინციპებზე მუშაობამ კიდევ უფრო გაამწვავა. თედო უთურგაიძე იყო აკადემიკოს აკაკი შანიძის ასპირანტი, თუმცა, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა, რომელსაც არნოლდ ჩიქობავა ხელმძღვანელობდა. მიუხედავად დიდი მეცნიერების ერთმანეთთან უთანხმოებისა, ბატონი თედო

ორივესთან განსაკუთრებულად კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა, რასაც ყველა ვერ ახერხებს. ამაში მდგომარეობდა ბატონი თედოს უნიკალურობა“, — ასე იხსენებს კოლეგას პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა თავის სიტყვაში საზგასმით აღნიშნა, რომ ბატონი თედო ყველასთვის სამაგალითო მეცნიერი გახლდათ, რადგან ის არასოდეს ჩერდებოდა ერთ ადგილზე: „ბატონი თედოსგან მხოლოდ ცოცხალი აზრები მახსენდება. იგი მუდმივად ახალგაზრდა იყო და ყოველთვის სიახლეს სთავაზობდა სტუდენტებს. ყველაზე ღირებული კი ისაა, რომ მეცნიერული პოლემიკა მისთვის არასდროს ხდებოდა პირადი კონფლიქტის საგანი“, — თქვა მან.

თედო უთურგაიძე 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის ავტორი, მრავალი რესპუბლიკური და

საერთაშორისო სიმპოზიუმისა თუ კონფერენციის მონაწილე გახლდათ. იგი ცხოვრების ბოლო წუთამდე აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. მეცნიერის მაგიდაზე დარჩა დაუსრულებელი ნიგნი, რომლის ხელნაწერები მეცნიერის შვილებმა ბატონი თედოს მონაფეხებს გადასცეს. „ჩვენ ვართ ბატონი თედოს მოსწავლეები. იგი ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო. ბოლო პერიოდში, დაახლოებით 20 წლის განმავლობაში, ერთად ვმუშაობდით ენის მოდელირების საკითხებზე. ოჯახის წევრებთან ერთად, ჩვენ აღმოვაჩინეთ პატარა ფოლიანტი, რომელსაც „სამწერლობო ენის გრამატიკის ისტორია“ აწერია. მისმა შვილებმა ხელნაწერები გადმოგვცეს, რის შემდეგაც მე და ლალი ეზუგბაიამ, რომელიც ასევე მისი მოწაფე გახლავთ, ამ ნიგნზე მუშაობა დაიწყეთ. ვინაიდან ბატონი თედოს ნაშრომი ბოლომდე დასრულებული არ ჰქონდა, ჩვენ თავს იმის უფლება ვერ მივეცი, რომ ნიგნისთვის ის სახელი დაგვერქმია, რაც საქალაქის ანერია; ამიტომ დავარქვით „სამწერლობო ენის გრამატიკის საკითხები“, — გვითხრა პროფესორმა მარიამ მანჯგალაძემ.

როგორც აღინიშნა, ნიგნში დანართის სახით შევა ყველა ის ჩანაწერი, რომლებიც კეთდებოდა ენის მოდელირების ასოციაციის სხდომებზე. თედო უთურგაიძის ბოლოდროინდელი ნაშრომი იქნება კიდევ ერთი სიახლე ქართული ენათმეცნიერული საზოგადოებისთვის. ნიგნი მალე გამოიცემა, ხოლო პრეზენტაცია ბატონი თედოს დაბადების დღეს — 17 ივნისს იგეგმება.



ლიანა მარჯანიანი
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



„სვანეთი და სამეგრელო – 2018“ – სტუდენტური ექსპედიციის ანგარიში

რაცვლილებებს განიცადის ენა □ ამ კითხვაზე პასუხს თსუ-ელი ახალგაზრდა მეკლერები გამოცდილ ხელმძღვანელ-მეცნიერებთან ერთად ყოველ წელს აქტიურად ეძებენ, პოულობენ, შემდეგ კი განვლილ გზასა და შედეგებზე აკადემიურ სივრცეში გვიამბობენ. ამ მხრივ გამოჩაჩიბისი არც 2018 წელი ყოფილა.

გარეშე მუშაობა ძალიან გაგვიჭირდებოდა“, — აღნიშნავს ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ამ ექსპედიციებს, რომლებიც, საშუალოდ, 10-12 დღეს გრძელდება, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აფინანსებს. პროექტში მონაწილეობისთვის სტუდენტებს ხელმძღვანელები მათი აკადემიური მოსწრებისა და საკვლევი საკითხისადმი ინტერესის მიხედვით არჩევენ.



რეგიონში ჩასული ჯგუფი ბუნებრივ სიტუაციაში აკვირდება ადგილობრივი მოსახლეობის ზეპირმეტყველებას: იწერენ ლექსებს, ლეგენდებს, შლოცებებსა და გამოცანებს. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა შეამოწმონ და პრაქტიკულად გაამყარონ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგინი უკვე მესამე წელი სვანეთის ექსპედიციას ხელმძღვანელობს. როგორც თავად ამბობს, „სწორედ ამ ექსპედიციის შემდეგ წყვეტენ სტუდენტები — გააგრძელონ მუშაობა ქართველოლოგიაში და მეცნიერებაში ანაღინდნ“. ქალბატონი ქეთევანი აღნიშნავს, რომ „ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) დაარსების დღიდან ისწავლება უნივერსიტეტში. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობის მქონეა. ამ ენების სწავლება ფუძენის რეკონსტრუქციისკენაა მიმართული. ეს ყველაფერი ხდება ქართულ ენასთან მიმართებით. სვანურს ინოვაციურად და არქაულად ერთდროულად ახასიათებს. ძალიან ხშირად მას გაყვავართ ძველი ქართული მონაცემების კვლევა, უფრო მეტიც, საერთოქართველური ფუძენის კვალზეც“.

„ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის

მეოთხე სემესტრის სტუდენტი თამარ ჩანქელიანი სვანეთიდანაა, პრაქტიკულად ფლობს სვანურს და, ასევე, დიდი ინტერესით იკვლევს მას. თამარი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ — წევრია. სვანეთის ექსპედიციაში ხელმძღვანელმა ჩართო, რომელიც მისი მეცნიერ-კონსულტატიც არის პროექტში. „პროექტში ჩემი კონკრეტული სამუშაო თემაა „ორმაგი უარყოფა ქართულსა და თანამედროვე სვანურში“, ამიტომ წინასწარ შევადგინე ანკედა. კითხვარებს შესავსებად ვურიგებდი ადგილობრივ მოსახლეობას; შემდეგ უკვე დავიწყე მათი გაანალიზება. შედეგები საინტერესო და საყურადღებოა“, — ამბობს ახალგაზრდა მეკლევარი.

შეგროვილი ემპირიული მონაცემების ანალიზი ველზე მუშაობის დასრულების შემდეგ იწყება. სტუდენტები შიფრავან ინტერვიუებს და ქმნიან მათ ქართულ ვერსიებს. ბოლოს კი ვლინდება ენობრივი თავისებურებები და საქსპედიციო თემები საკონფერენციო ან სადიალოგო ნაშრომებად იქცევა ხოლმე. გარდა სვანური ენისა, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გაზაფხულის სემესტრში მეგრულ-ლაზური ენის არჩევითი კურსის გავლაც შეუძლიათ. იქიდან გამომდინარე, რომ მეგრულ-ლაზური ორ უმწერლობო ქართველურ ენას შეიცავს, ექსპედიცია მონაცვლეობით, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში ან ლაზეთში (მათ შორის, თურქეთის ლაზეთშიც) ტარდება.

„ჩვენ ვცდილობთ, ის მეცნიერული მეკვიდრეობა, რომელიც უფროსი თაობის ღვანლმოსილი მეცნიერებისგან გვერგო, ღირსეულად გავაგრძელოთ“, — აღნიშნავს ჩვენთან საუბარში მაია ლომია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამეგრელოს ლინგვისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი. სტუდენტების აქტიური ჩართულობა მას მოტივაციას აძლევს — კიდევ უფრო საინტერესო კუთხით გადმოსცეს ესა თუ ის საკითხი, ამიტომ ყოველ წელს თავადაც მოუთმენლად ელის ზაფხულს. მაია ლომია აღნიშნავს: „პროფესიულად ჩვენც ვიზრდებით. ეს არის ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმხრივი თანამშრომლობის შედეგი. ველზე მუშაობა სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკაა, რომლის დროსაც სტუდენტები აქცენტებს აკეთებენ სამეცნიერო პრობლემურ საკითხებზე“.

გასულ ზაფხულს ზუგდიდს, მაია ლომიასთან და კურსელებთან ერთად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახლა უკვე დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ანანო ბაქრაძეც ესტუმრა. მას ხელმძღვანელი ექსპედიციაში თავის „მარჯვენა ხელსა“ და „მოადგილეს“ უწოდებს. ანანო საქსპედიციო პროექტში უკვე მეორედ მონაწილეობს: სანამ სამეგრელოს ესტუმრებოდა, შარშან სვანეთის ექსპედიციის ფარგლებში მესტიამი იმყოფებოდა. „ძალიან სიტყვა-მოსწრებული ხალხი შეგვცვდა სამეგრელოში. არ ეზარებოდათ კომუნიკაციაში შემოსვლა და, პირიქით, დახმარებას გვთავაზობდნენ“, — იხსენებს ანანო. მოსწონს, რომ ექსპედიციამ, პროფესიული გამოცდილების დაგროვების გარდა, კურსელებთან მეტად დამეგობრების საშუალება მისცა.

როგორც პრეზენტატორებმა და მათმა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, ექსპედიციის მონაწილე სტუდენტებმა არა მხოლოდ წმინდა ენათმეცნიერული მიმართულებით იმუშავეს, არამედ, პარალელურად, რეგიონის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებსაც გაეცნენ.

ბოლოს, რატომ უნდა დაინტერესდნენ თსუ-ის სტუდენტები მსგავსი თემების კვლევით? ამ კითხვაზე სტუდენტ ანანო ბაქრაძის პასუხი ასეთია: „ქართველური ენები ჩვენს ისტორიას ინახავენ. ეს საკითხები ჩვენ, ახალგაზრდებმა, თუ არ შევისწავლეთ და ამ ცოდნას თუ არ გავუფრთხილდით, ბუნებრივია, სხვა მათდამი ინტერესს აღარ გამოიჩენს“.



ქართველოლოგია – „გუზინ, დღეს, ხვალ“

შარტის ბაროშვილი

„თ“ ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლებრივ ფაკულტეტის ქართველოლოგიის კვლევების მთავარ კერად, რომელიც ამ სფეროში სამეცნიერო ინტეგრაციასა და აქტუალური საკითხებისა თუ კვლევების წინ წამოწევას ემსახურება“, — ითქვა 17-18 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების საზოგადოების ორგანიზებით გამართულ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე — „ქართველოლოგია გუზინ, დღეს, ხვალ“, რომელსაც სამეცნიერო საზოგადოების წარმო-

მადგენლები, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი და სტუდენტები დაესწრნენ. კონფერენცია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა გახსნა. მან ვრცლად ისაუბრა ამ სფეროს განვითარების მნიშვნელობაზე და იმედი გამოთქვა, რომ კონფერენციაზე დასმული საკითხები სასიკეთოდ წაადგება ქართველოლოგიის განვითარებას. როგორც კონფერენციაზე თსუ-ის პროფესორმა მერაბ ჩუხუამ აღნიშნა, საჭიროა ასეთ მნიშვნელოვან ფორუმებზე მეცნიერები ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ ფართო საზოგადოების წინაშე და არა მარტო მიღწევებზე, არამედ იმ პრობლემებსა და „ჩავარდნებზეც“ ისაუბრონ, რაც ამ სფეროშია. „მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩემი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან მეტი მზაობაა საჭირო, რომ ამ სფეროში რაც შეიძლება მეტი

პროექტი განხორციელდეს. ეს არ არის მხოლოდ ერთი ინსტიტუტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, არც მხოლოდ საერთაშორისო სქემებით მოქმედება საკმარისი... ჩვენ უნდა ვიყოთ ნოვატორები და თავს უნდა ვინონებდეთ შესაბამისი ლექსიკონებით, რომელიც, სამწუხაროდ, არ გვაქვს. ჩემი აზრით, ასწლიანი დუმილის შემდგომ, დროა — შეიქმნას მაღალი ღირებულების სამეცნიერო პროდუქცია“, — განაცხადა მერაბ ჩუხუამ. კონფერენციის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: ქართული სალექსიკონო ერთეულების ინდექსი „კავკასიურ ენათა სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“ (ცირა ბარამიძე); „ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია“ (მარინა ბერიძე); „ქართული, როგორც საერთო ქართველური ფუძე ენის ძირითადად იდენტური სტრუქტურის ენა“ (რევაზ



აბაშია); „წყვეტილის ფორმის ტრანსსემანტიზაციის ერთი შემთხვევა ქართულში“ (რუსუდან ზექალაშვილი); „ეპისტემიკურ-ევიდენციალური სემანტიკის გამოსახვა ორგანული და ალნური ფორმებით ქართველურ ენებში“ (მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე);

„კაზმა“/„კაზმა“ ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე“ (სალომე ოშიაძე); „დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატვრი ანალიზური და სინთეზური ზმნური ფორმები ქართულ სამწერლობო ენაში“ (მაგალი ლაბაშვილი); „სახელმწიფო ენის სწავლება და ბილინგვური სკოლის მოდელი“ (კახა გაბუნია); „ქართული ტერმინოსაცია — ქართული ტერმინოლოგიური სკოლა და ევროპული გამოცდილება“ (ლია ქაროსანიძე); „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მეტყველების მორფო-სინტაქსური თავისებურებები“ (ქეთევან ჭილაია) და სხვა. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი ალიბეგაშვილის აზრით, 14 აპრილის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაძლიერებას ემსახურება.

სტუდენტთა ქართველოლოგიური ხვლევები

თამარ ლაღინი

ქართული ენის დღეს მიძღვნილ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია — „სტუდენტთა ქართველოლოგიური კვლევები, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ: თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები: დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე, თინათინ ბოლქვაძე, ეკატერინე ნავროზაშვილი და ნინო პოპიაშვილი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 15-მდე სტუ-



დენტი, რომლებმაც ლიტერატურულ თემებზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს: „პირობითი დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა და სემანტიკა მეგრულსა და სვანურში (ქართულთან მიმართებით) — (მომხსენებელი: ლიკა შონია, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან



მარგიანი-სუბარი); „ორფუძიანი ბრუნების საკითხისათვის თანამედროვე სვანთა მეტყველებაში“ (მომხსენებელი: ანაო ბაქრაძე, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი); „შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატვრი უარყოფითი ნაწილაკების მრავალფეროვნებისთვის სვანურში“

(მომხსენებელი: თამარ ჩანქელიანი, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი); „ბაზისურ ფერთა სისტემის კვლევის ახალი გზის შესახებ ქართულ ენაში“ (მომხსენებელი: მარიამ რაქვიაშვილი, ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ზურაბ ბარათაშვილი) და სხვა.

„ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ამ შინაარსის მქონე კონფერენცია წელს პირველად ჩატარდა და სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია. სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. სტუდენტთა მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაგვიჩნდა იმედი, რომ ქართველოლოგია მომავალში საიმედო ხელშია“, — განაცხადა პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა. კონფერენციის ბოლოს ორგანიზატორებმა კონფერენციის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს და მადლობა გადაუხადეს თსუ-ის რექტორს და ადმინისტრაციას თანადგომისთვის.

ქართულ ენაში მოხალაობის საგანმანათლებლო პროგრამის ღარგობრივი მახასიათებლების წარდგენა

1978 წლის 14 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თსუ-ში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შესახებ უამბო შეკრებილ საზოგადოებას ენათმეცნიერმა, მეორე ენის სწავლებისა და მულტილინგვური განათლების ექსპერტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა კახა გაბუნია.

ლი საგანმანათლებლო მოცემულობა ამ ტიპის სკოლებში ვერ უზრუნველყოფს მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას ქართულენოვან აბიტურიენტებთან მიმართებით, შესაბამისად, სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება, საშუალებათა პოლიტიკის ფარგლებში, უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელოს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა. „ნებისმიერი პროგრამა აგებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებზე. შეუძლებელია ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია ან ნებისმიერი სხვა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ჰუმანიტარული თუ სხვა დარგი არ ითვალისწინებდეს მახასიათებლებს. შესაბამისად, ამის შექმნას იმთავითვე ვითხოვდით. ამ ყველაფერს დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო და შრომა, რადგან საქართველოში ამ მიმართულებით პრაქტიკა და, ზოგადად, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დიდი გამოცდილება არ გვქონდა“, — განაცხადა კახა გაბუნია პრეზენტაციის დროს. პროგრამა უკვე 8 წელია არსებობს და ერთწლიანი კურსის თითქმის ყველა სახელმწიფო და რამდენიმე კერძო უნივერსიტე-

შიც იკითხება. განიხილებოდა საკითხი პროგრამის ხანგრძლივობის ორ წლამდე გაზრდის თაობაზეც, თუმცა ამ ტიპის ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა. როგორც ბატონი კახა აცხადებს, პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელსაც სტუდენტები აწყდებიან, სკოლებში ქართული ენის არასათანადო დონეზე სწავლებაა. უნდა ვალიაროთ, რომ ხშირად არაქართულ სკოლებში თავად ქართული ენის მასწავლებლებიც ვერ აკმაყოფილებენ ქართულის ენის პროფესიულად ცოდნის იმ დონეს, რაც მოეთხოვება. ეს ყოველივე, სათანადო კვლევის შედეგად, მასწავლებლების შემოწმების დროსაც დადასტურდა. სკოლის ატესტაციის მიხედვით, მოსწავლემ ქართული B2 დონეზე იცის, თუმცა, რეალურად, ეს ასე არ არის. ლექტორები უკვე ბაკალავრიატის სტუდენტებზე ხშირად ჩივიან, რომ მათ ძალიან უჭირთ ქართული ენის ფლობა. სახელმწიფო ენაზე დაწერილი ტექსტის გაგება-გააზრების დეფიციტი კი ქმნის სერიოზულ პრობლემებს, რითაც, პირველ რიგში, სტუდენტები ზარალდება და იჩაგრება. კანონი ხისტია, მასში არ წერია ოფიციალურად - რა დონეზე უნდა ფლობდეს იგი ქართულ



კახა გაბუნია

ენას. შედეგად, სტუდენტთა ნაწილმა არაჩვეულებრივად იცის ქართული, ნაწილს კი გამარჯობის“ თქმაც არ შეუძლია. მსგავსი ტიპის არათანაბარი საბაზისო პირობები სამომავლოდ წარმოქმნის უამრავ პრობლემას, — თქვა მან. პროგრამის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემაში ჩაშვების შემდეგ თავი იჩინა რამდენიმე პრობლემამ, მათ შორის ერთიანი სტანდარტის უქონლობამ, ვინაიდან ყველა უნივერსიტეტი ინდივიდუალურად ადგენდა სათავისო სტანდარტებს და, ევროპული ენების დონეების მსგავსად, ქართული ენის საერთო დონე არ იყო შერჩეული. ხარვეზი მოგვიანებით გამოსწორდა და ამ ეტაპისთვის

სტანდარტი უნიფიცირებულია. კახა გაბუნია თქმით, პროგრამა უმდიოვად მოძრავი, განახლებადი, სტუდენტთა ინტერესებსა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დონეზეა მორგებული. მიმდინარეობს სახელმძღვანელოების დახვეწა და შევსების კრიტერიუმების განხილვაც: „ჩვენი პრიორიტეტი, ცალსახად, ამ სტუდენტებისთვის სასწავლო პირობების გაუმჯობესება და მათ უნარებზე მორგებაა. უკვე გავაკეთეთ ორი მოდული: ერთი ითვალისწინებს სწავლების ნულოვანი დონიდან დაწყებას, ხოლო მეორე — B2 დონეზე ქართულის ცოდნას. გარდა ხელშეწყობისა და დაბრკოლებების გამოსწორებისა, აუცილებელია გარკვეული სტანდარტების შემუშავებაც. ამგვარად, ბაკალავრიატში მიღების წესებთან ერთად, უნდა განისაზღვროს დიპლომის გაცემის კრიტერიუმებიც. ჩვენი მიზანია, ამ სტუდენტებმა შეძლონ საგანმანათლებლო ინტეგრაცია და იცოდნენ ქართული იმ დონეზე, რომ მოახდინონ საკუთარი უნარების რეალიზება“, — აღნიშნა კახა გაბუნია.

შოთა ჩანძალიანი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



ესაების ჯონაურსი – „ქართული – ჩემი სახელმწიფო ენა“

პარტია ბაროშვილი

„მე“ ვარ მალაქი, აზერბაიჯანელი გოგო, ჩემი სახელი ქართულად ანგელოზს ნიშნავს, ანგელოზს კი აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფრთები... ჩემი ფრთები ქართული ენაა, რომელიც საოცარ მომავალში გადამაფრენს“, — ამბობს მალაქი აშროვია, რომელიც წლებადედი კონკურსის მონაწილე და, შესაბამისად, გამარჯვებულია, რადგან წელს კონკურსში პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები, ჟიურის გადაწყვეტილებით, გაუქმდა.

აიგიუნ ოხმანოვა კი ამბობს, რომ ქართული დიდი ხანია მისი მშობლიური ენა გახდა. იგი უკვე დიდი სიამოვნებით კითხულობს ქართულ ლიტერატურას და ეცნობა საქართველოს ისტორიას. „კონკურსში დიდი ხანისით მივიღე მონაწილეობა. მიხარია, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად ვზეიმობ ქართული ენის დღეს“, — ამბობს აიგიუნ ოხმანოვა.

მალაქის და აიგიუნის მეგობრებმა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა სხვა ახალგაზრდებმაც იციან და გააზრებული აქვთ, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა მათი წარმატების გარანტიაა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ წელს კონკურსში მონაწილეთა რიცხვი უპრეცედენტოდ გაიზარდა.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ყვა-



ნიას სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა ესეების კონკურსი თემაზე: „ქართული — ჩემი სახელმწიფო ენა“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ყვანიას სკოლის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართულმა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა და თსუ-ის „1+4 პროგრამის“ სტუდენტებმა. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, სადაც მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს.

წელს კონკურსში მონაწილეობის სურვილი ბევრმა ახალგაზრდამ გამოთქვა. მათ ემოციურად და ლამაზად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ. ჟიურის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები და ყველა მონაწილეს თანაბრად გადაეცა სიგელი და სერტიფიკატი.

ესეებისა და კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და სიმბოლური საჩუქრები საზეიმო ვითარებაში ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი ალიბაგაშვილმა, ზურაბ ყვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ გადასცეს. ღონისძიების ბოლოს სტუდენტებისგან სპეციალურად შექმნილი სამი გუნდი სტუდენტების მიერ მოგონილ სამაგიდო თამაშში შეეჯიბრა ერთმანეთს.

სტუდენტური ესაების ჯონაურსი – „ჩვენი ენა ქართული“

თამარ ლალიანი

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა სტუდენტური ესეების კონკურსი გამოაცხადა თემაზე: „ჩვენი ენა ქართული“. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო თსუ-ის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ ესეები შემდეგ თემებზე: ქართული დამწერლობა, ენის ისტორია, იდენტობა, დიალექტი და სხვა.

ჟიურიმ 18 აპრილს გამარჯვებული გამოავლინა — თამარ კაიშაური, რომლის საკონკურსო თემის სათაურია — „მე არცერთ კილოს არ ვწუნობ“. ჟიურის მიერ დადებითად შეფასდა



სხვა სტუდენტების ნამუშევრებიც და კონკურსის ყველა მონაწილე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები: მარიკა ჭითანავა, ლალი ჭუმბარაშვილი, ლევან ჯღარკავა, ანა მაზმიშვილი, ანი თოფურია, ანა გოგილაშვილი, თამაზ ციციშვილი, ანი თვალავაძე და ანა გოგიტიძე) სხვა-

დასხვა პრიზებით დაჯილდოვდა. თსუ-ის პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ გამარჯვებულებს სერტიფიკატი გადასცა და გამარჯვება მიულოცა.

„სტუდენტური ესეების კონკურსში მონაწილეობა დიდი ინტერესის გამო მივიღე. ვფიქრობდი, რომ ეს პროექტი ჩემთვის საინტერესო იქნებოდა. ჩემი ესე — „მე არცერთ კილოს არ ვწუნობ“ — ვაჟა-ფშაველას მიერ შირაქის ველზე ჩამოსახლებულ მთიელ მოსახლეობას ეხება, რომელიც დღემდე იქ ცხოვრობს. გადავწყვიტე მათი ლექსიკის მსმენელად მე მოტანა და შევეცადე მცირე დიალექტოლოგიური ლექსიკონი შემეგინა. როცა კონკურსი გამოცხადდა, გადავწყვიტე ჩემი ნაშრომის წარდგენა და მოხარული ვარ, რომ ჟიურის მონონება დავიმსახურე,“ — განაცხადა კონკურსის გამარჯვებულმა თამარ კაიშაურმა.



თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეცნიერების კულტურის განყოფილების წარმომადგენლებმა (თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე, ქეთევან დათუკიშვილი, ლევან ვაშაკიძე, მკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, თეა ტეტელოშვილი, ნინო ჯორბენაძე) შერეული აუდიტორიის განყოფილების ვებ-გვერდი წარუდგინეს.

სარნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამართა თსუ-ში პრეზენტაცია, სადაც ქართული მეცნიერების კულტურის განყოფილების წარმომადგენლებმა (თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე, ქეთევან დათუკიშვილი, ლევან ვაშაკიძე, მკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, თეა ტეტელოშვილი, ნინო ჯორბენაძე) შერეული აუდიტორიის განყოფილების ვებ-გვერდი წარუდგინეს.



თამარ ვაშაკიძე

ქართული მეცნიერების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის თამარ ვაშაკიძის თქმით, ენა მუდმივად

საჭიროებს განახლებას და აუცილებელი ხდება მისი ეტაპობრივად გამოცოცხლება: „მოგესხნებათ, ჩვენი ენა თითქმის ყოველდღე იცვლება, ემატება ახალი სიტყვები, გავიწყდება უკვე არსებული და, ამიტომ, კვლავ დადგა საკითხი ლექსიკონის ხელახლა გამოცემისა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით პრობლემურია მედია, რომელიც მთავარ ინფორმაციულ მიმოცვლას აწარმოებს საზოგადოებასთან. აქედან გამომდინარე, გამოვეცით მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის. განახლებულ ლექსიკონებში პირველადაა წარმოდგენილი ბევრი უცხო სიტყვა. მუშაობის პროცესში უცხო სიტყვები სამ ნაწილად დაიყო: ბარბარზიმები (მაგალითად, სენსიტიური, რომლის რამდენიმე ქართული შესატყვისი გვაქვს — ფაქიზი, მგრძნობიარე, მგრძნობელობითი, შეგრძნებითი), ნეოლოგიზმები (მაგალითად, გაჩნდა მართლწერის პრობლემები, რადგან, თუნდაც, ტერმინი — „ვიზალიზერაბილიზაცია“, უნდა ვიცოდეთ, რომ იწერება ერთად) და მესამე — ეს გახლდათ სიტყვები, რომლებიც დიდი ხანია დამკვიდრებულია, თუმ-

ცა დრო და დრო სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს (მაგალითად, „პალიკაცია“ ადრე ნიშნავდა გამოსახულების მიღების ხერხს, ნახატს ან ორნამენტს, რომელიც რამეზე ეკვროდა ან ეკერებოდა, დღეს კი ის არის პროგრამული უზრუნველყოფის გამოშვებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას არასწორად იყენებენ განცხადების ნაცვლად).“

განყოფილების ვებ-გვერდი მნიშვნელოვნად წაადგება საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, მოსწავლეებსაც, რომლებსაც, სხვა დანარჩენთან ერთად, შეუძლიათ მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონითაც ისარგებლონ. ლექსიკონები ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში და ასევე შესაძლებელია მათი ჩამოტვირთვაც. ქართული მეცნიერების კულტურის განყოფილება, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, კვლავ აგრძელებს ლექსიკონებზე მუშაობას.

შოთა ჩანსქალიანი
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

რატომ მიაჩნია სახელმწიფო ენის დეპარტამენტს თინა მარგალიტაძის შრომა მისაბამ მაგალითად

ენის სახელი

თსუ-ში პროფესორ თინათინ მარგალიტაძის ხელმძღვანელობით, მოძრაობა „არა ბარბარიზმების“ ფარგლებში, მოეწყო კონკურსი — „გაუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ გამარჯვებულ მოსწავლეთა ესეების კრებულის პრეზენტაცია. ღონისძიება თსუ-ში ქართული ენის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

კონკურსანტებმა დაწერეს თხზულება თემაზე — „რატომ უნდა გაუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“. საკონკურსო ჟიურის სკოლებმა განსახილველად გადასცეს მათ მიერ შერჩეული 125 ესე, რომელთაგანაც ჟიური გამოავლინა 20 გამარჯვებული მოსწავლე. კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული ესეები დაიბეჭდა კრებულში, რომელიც 2019 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

„მოძრაობა „არა ბარბარიზმებს“ 2016 წელს დაარსდა. როგორ შეიძლება, ქართული ენის კვირეული დამთავრებულიყო უნივერსიტეტში ისე, რომ მოძრაობას თავისი ღონისძიება არ ჩაეტარებინა. ამიტომ ჩვენ დღეს შევიკრიბეთ იმისათვის, რომ საზოგადოებას ანგარიში ჩავაბაროთ — რა გაკეთდა ერთი წლის განმავლობაში.

დღეს აქ შევიკრიბენ იმ სკოლების წარმომადგენლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკურსში — „გაუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“. საოცარი გამოხმაურება ჰქონდა ამ კონკურსს მთელ საქართველოში. 40-მდე სკოლის 400-მდე მოსწავლემ მიიღო ამ კონკურსში მონაწილეობა. 125 ესე შევარჩიეთ და მათგან 20 არის გამარჯვებული, რომელიც დაიბეჭდა კრებულში. კრებული დაფურცელდა გამარჯვებულ ბავშვებს. ის ინტერნეტშიც დაიდება“, — აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა თინა მარგალიტაძემ.

სიურპრიზი და სიასლავი

ღონისძიებაზე მოძრაობა „არა ბარბარიზმების“ სულისჩამდგმელი თინა მარგალიტაძე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ასევე მოწვეულ სტუმრებს ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

„დღეს შეკრებილ საზოგადოებას სიურპრიზი მოვუზადეთ. ჩვენ პირველად გავაცანით საზოგადოებას ის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე, ის ორი პროექტი, რომელზეც დავასრულეთ მუშაობა. საუბარია ინგლისურ-ქართულ სასწავლო ლექსიკონზე. ინგლისურ-ქართული დიდი ლექსიკონი, დიდი ხანია, დევს ინტერნეტში, მაგრამ სკოლის მოსწავლეებისთვის მაინც საჭირო არის სასწავლო ტიპის ლექსიკონი. ბავშვებს არ შეუძლიათ დიდი ლექსიკონის გამოყენება. ის მაინც სპეციალისტებზეა გათვლილი, ამიტომ ჩვენ ძალიან აქტიურად ჩავებით და დავასრულეთ მუ-



შაობა ინგლისურ-ქართულ სასწავლო ლექსიკონზე. ის გამოქვეყნდება ინტერნეტშიც და ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის; დაიბეჭდება წიგნად და სულ მალე, ალბათ, იენისში, ჩვენ ეს წიგნი გვექნება. ვფიქრობ, რომ ქართული ენის დაცვისათვის ასეთი ლექსიკონი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ქართული ენა, დღეს, ძირითადად, ინგლისური ენიდან შემოსული სიტყვებით, არასწორად თარგმნილი იდიომებით ივსება. ამიტომ, სწორედ ამ პროცესს ვუპირისპირებთ ისეთ ლექსიკონს, რომელიც, ვფიქრობთ, რომ ქართველი ბავშვების საყვარელ ლექსიკონად გადაიქცევა.

მეორე პროექტი, რომელიც ასევე დღეს წარუდგინეთ საზოგადოებას, დიდი ბრიტანელი ქარველოლოგის, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ელექტრონული ვერსიაა. ეს ლექსიკონი, რამდენიმე წლის წინ, მე და ჩემმა კოლეგამ ჩამოვიტანეთ დიდი ბრიტანეთიდან და დღეს პირველად წარუდგინეთ საზოგადოებას ელექტრონული სახით. ლექსიკონზე მუშაობა გრძელდება სტუდენტებთან ერთად, ვიკვლევთ მის მიმართებას „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკასთან. დეკემბერში ჩვენ უნივერსიტეტში დავაარსებთ ლექსიკონის დღეს. ეს იქნება ყოველწლიური დღე, რომელიც სტუდენტთა კონფერენციით აღინიშნება. წელს ამ კონფერენციას ვუძღვნი


მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 150 წლისთავს. ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი როგორც საქართველოში, ისე — ბრიტანეთში. კონფერენციაზე სტუდენტები წარმოადგენენ ამ ლექსიკონის კვლევის შედეგებს და ვფიქრობ, რომ საინტერესო ღონისძიება გამოგვივა“, — აღნიშნა თინა მარგალიტაძემ.

ქართული ენის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის თსუ-ის პროფესორ თინათინ მარგალიტაძეს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ თინათინ ბოლქვაძემ დიპლომი გადასცა.

„თსუ-ის პროფესორი თინათინ მარგალიტაძე არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი. გარდა ამისა, მან დიდი ხანია საქართველოში დაიწყო უკვე ყველასთვის ცნობილი მოძრაობა — „არა ბარბარიზმებს“ და სასიხარულოა, რომ ძალიან ბევრი მოსწავლეა ამ საქმეში ჩართული. შარშან სპეციალურად მოაწვევს ესეების კონკურსი და დღეს უკვე 20-მდე გამარჯვებული ესეს ამ სახველი კრებულის პრეზენტაციაც მოეწყო.

რატომ მიაჩნია სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, რომ ეს არის მისაბამი მაგალითი და რატომ ჩათვალა საჭიროდ, რომ თინათინ მარგალიტაძის შრომა დაეფასებინა დიპლომით და ცნობილი წიგნით — „ქართული ხელნაწერების შესახებ“. ამ დიპლომში წერია, რომ ქალბატონი თინათინ მარგალიტაძე ჯილდოვდება ქართული სალიტერატურო ენის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის.

თქვენ ნახეთ — საიდან არ არიან ჩამოსული მოსწავლეები თინათინ მარგალიტაძის მოძრაობის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. თბილისი, რუსთავი, გორი, ოზურგეთი, ქუთაისი, ბათუმი... ბევრია გამარჯვებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თინა მარგალიტაძემ საქართველოს ყველა კუთხეში იპოვა ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ასევე ფიქრობენ ქართულ ენასთან



მიმართებით დაგროვილ პრობლემებზე. ამ მასწავლებლებმა კი დარაზმეს თავიანთი მოსწავლეები... ეს მთელი ქსელია... და ყველამ ერთად დაიწყო ფიქრი იმაზე, რას ნიშნავს ქართული სალიტერატურო ენა, რას ნიშნავს მისი ლექსიკის დაცვა, რას ნიშნავს ბარბარიზმების შესატყვისი სიტყვების მოძიება და ა.შ. — ეს ყველაფერი თინათინ მარგალიტაძემ მოახერხა და ვფიქრობთ, მისი შრომა დასაფასებელია“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ თინათინ ბოლქვაძემ.

ახალი კონკურსები

მოძრაობა „არა ბარბარიზმების“ ფარგლებში, ახალი სასწავლო წლიდან, ორი კონკურსის გამოცხადება იგეგმება. მასში როგორც სკოლები, ისე სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

„პირველი კონკურსის სახელია — „შექმენი შენი ტერმინი“, რომელიც მიზნად ისახავს — უფრო ფართოდ გავშალოთ ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. მოგხსენებთ, რომ ქართული ტერმინოლოგია უმძიმეს მდგომარეობაშია, ამიტომ ჩვენ გვგეგმავთ კონკურსზე დარეგისტრირებული ახალგაზრდებისათვის ჩავატაროთ ლექციები, აუქსნათ მათ — რას ნიშნავს ტერმინოლოგია, როგორ იქმნება ქართული ტერმინოლოგია. ყოველ წელს შევარჩევთ რომელიღაც ერთ-ერთ დარგს, რომლის ტერმინოლოგიური ბარბარიზმებსაც მივანვიდით ახალგაზრდებს და ვნახოთ — ვინ რას შემოგვთავაზებს. საუკეთესოდ შექმნილი ქართული ტერმინოლოგია შევა ლექსიკონში და თითოეულ ტერმინს თავისი ავტორი ეყოლება ლექსიკონის გვერდზე.

მეორე კონკურსი, რომელსაც ასევე გვგეგმავთ, ეს არის — „დააბრუნე ქართულ ენაში შენი სიტყვა“. ეს კონკურსიც სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. ჩვენ ვგეგმავთ შეხვედრებს ბავშვებთან, ლექციების ჩატარებას, სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ წარდგენას მათთვის, რათა მათ დაინახონ — როგორი მდიდარია ქართული ლექსიკა, როგორი საოცარია სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი და ა.შ. შემდეგ კი ვნახოთ — რა „მარგალიტა“ მოძებნიან ისინი. მაგალითისთვის მინდა გითხრათ სიტყვა, რომელსაც გადავანყედი და აღვფრთოვანდი — ეს არის ავტოკეფალიის ქართული შესატყვისი — თვითმწყობა; ან მაგალითად — კონსენსუსი, რომლის ქართული შესატყვისია — ერთნებაობა. ჩვენ ამ სიტყვების ორივე მაგალითს დავაფიქსირებთ და შემდეგ უკვე საზოგადოებაზე დამოკიდებული — რომელს გამოიყენებს“, — აღნიშნა თინათინ მარგალიტაძემ.

მას მიაჩნია, რომ აუცილებელია მედია-მხარდაჭერა, ამ იდეების პროპაგანდა უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს შეიძლება ერთმა მოძრაობამ და ერთმა სოციალურმა გვერდმა გააკეთოს.



ქართული ენის კვირეული

14-22 აპრილი, 2019

ვინ დაჯილდოვდა ქართულ ენაზე ზრუნვისთვის

ნატო ობოლაძე

თსუ-ში გამორჩეული ლიტერატურული ქართულის მცოდნე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, უცხოელ ქართველოლოგებს, მთარგმნელებსა და ჟურნალისტებს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადაეცათ. დაჯილდოვების ცერემონია გამოფენის — „ბურჯი ეროვნებისა“ — დახურვაზე გაიმართა, რითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კვირეული დასრულდა. საზეიმო ვითარებაში, უნივერსიტეტის მედალი — ნომინაციაში „დიპლომატი“ — გადაეცათ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილეს ელიზაბეტ რუთს, საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჯასტინ მაკკენზი სმიტს და უნგრელ დიპლომატს ელეს არაბადს; უნივერსიტეტის მედალი — ნომინაციაში „უცხოელი ქართველოლოგი“ — გადაეცა ენათმეცნიერს, ქართველოლოგს, იაპონიის საელჩოს კულტურის ყოფილ ატაშეს, ტოკიოს უცხო ენების უნივერსიტეტის პროფესორს იასუჰირო კოჯიმას; უნივერსიტეტის მედალი — ნომინაციაში „საზოგადო მოღვაწე“ — გადაეცა საზოგადო მოღვაწესა და მწერალ კოტე ჯანდიერს; უნივერსიტეტის მედალი — ნომინაციაში „ჟურნალისტი“ — გადაეცა თამარ ცაგარეიშვილს. უნივერსიტეტის მედალი, როგორც დვანღმოსილმა მეცნიერმა, მერი ნიკოლაიშვილმა მიიღო, ახალგაზრდა მეცნიერებიდან კი უნივერსიტეტის მედალით ნიკო ქელბაქიანი და გიორგი ჯღარკავა დაჯილდოვდნენ. საუკეთესო მთარგმნელობითი სამუშაოსთვის უნივერსიტეტის მედალი ანი კოპალიანს გადაეცა.

ელიზაბეტ რუთმა ქართველ ხალხს ქართულის, როგორც უნიკალური ენის, შენარჩუნებისთვის მადლობა გადაუ-



ხადა: „გილოცავთ ქართული ენის კვირეულს. ამ ჯილდოსთვის მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორს, ბატონ გიორგი შარვაშიძეს და ჩემი ქართული ენის მასწავლებლებს საქართველოსა და ამერიკაში. განსაკუთრებული მადლობა ქართველ ხალხს ამ ქვეყნის ულამაზესი და უნიკალური ენის შენარჩუნებისა და დაცვისთვის.“

„დიდი პატივია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მედლის მიღება. ქართულის სწავლა ჩემთვის ხანდახან რთულია, მაგრამ სწავლის პროცესი მუდმივად მავსებს და ქართული კულტურის ხედვას მივითარებს“, — განაცხადა საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯასტინ მაკკენზი სმიტმა.

„დაახლოებით, 20 წლის წინ დავიცე ქართულის სწავლა. მიუხედავად

სირთულეებისა, ეს ენა ძალიან შემიყვარდა, დიდ პატივს ვცემ მას... იგი მართლაც ულამაზესია... დღეიდან კიდევ უფრო შევეცდები — გამართულად და სწორად ვილაპარაკო, რათა ამ ჯილდოს ღირსი ვიყო. ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება“, — აღნიშნა იასუჰირო კოჯიმა.

ჟურნალისტიკა თამარ ცაგარეიშვილმა ახალგაზრდა თაობას მოუწოდა, რომ ქართულ ენას მეტყველებაში ზედმეტად გავრცელებულ „ანუ“-ს იმედად ნუ დატოვებენ და გაუფრთხილდნენ.

„ყველა ქართველისთვის საამაყოა ქართული ენის მოფრთხილებისთვის მიღებული ჯილდო. მინდა, უბრალოდ გამოვიყენო ეს ტრიბუნა და ახალგაზრდებს მოვუწოდო, რომ ნუ დავტოვებთ ქართულ ენას მხოლოდ „ანუ“-ს იმედად. ქართული ენა ერთადერთია, რაც გვაერთიანებს და მას ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც საკუთარ სიცოცხლეს“, — განაცხადა ჟურნალისტიკა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი მათ თსუ-ის რექტორმა გადასცა.

„დაჯილდოვდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ქართული ენის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს და რომლებიც ქართულ ენაზე ზრუნავენ. თუმცა, ეს არ არის ყველაფერი, რასაც უნივერსიტეტი აკეთებს. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად, ევროპის 7 ქვეყანაში ქართველოლოგიის ცენტრები გაიხსნება. ეს საუკეთესო გზაა ქართული ენის, კულტურის და ქართული სახელმწიფოს პოპულარიზაციისთვის“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ქართული ენის დღე რეგიონებშიც აღინიშნა. როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, 2019 წელს საქართველომ სახელმწიფო ენის დაცვის დღეს ყველაზე მასშტაბური კვირეული მიუძღვნა.



ჯასტინ მაკკენზი სმიტი



ანი კოპალიანი



გიორგი ჯღარკავა



ნიკო ქელბაქიანი



თამარ ცაგარეიშვილი



ელიზაბეტ რუთი



იასუჰირო კოჯიმა



ელეს არაბადა



კოტე ჯანდიერი



მერი ნიკოლაიშვილი



306 არის ფაქტობრივად ის სამი პროფესორი, რომელთა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელობის მედიცინის ფაკულტეტის დაჯილდოვება

თამარ ლალიანი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამი პროფესორი: დემურ სიჭინავა, ჯემალ ხარითონაშვილი და მიხეილ ჩიკვილაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიცინის ფაკულტეტის დაჯილდოვდნენ. სამივე პროფესორი არა მარტო კოლეგა პროფესორების, არამედ სტუდენტების მიერ აღიარებული და დაფასებულია. თითოეულმა მათგანმა თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფაკულტეტის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში. გვესუბრებიან ივანე ჯავახიშვილის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები:

დაჯილდოება ჩემი შედეგები მუშაობის მძაფრი სტიმულია



დემურ სიჭინავა, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის მედიცინის ფაკულტეტის დაჯილდოვება, პირველი რიგში, ჩემი საუნივერსიტეტო საქმიანობის დიდი დაფასება, მეორე — უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა და მესამე — შემდგომი მუშაობის მძაფრი სტიმულია. ამიტომ მადლობას მოვასხენებ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს.

უნივერსიტეტში საბჭოთა სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტმა ძირფესვიანად შემიცვალა მსოფლმხედველობა და მომცა კარგი უმაღლესი განათლება.

დავამთავრე საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობით. საკმაოდ მოკლე დროში დავინყე მუშაობა უნივერსიტეტში. დღემდე გავლილი მაქვს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ყველა საფეხური — დაწყებული ასისტენტობიდან პროფესორობამდე.

უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე ოჯახია, სადაც 55 წელია ვმოღვაწეობ (როგორც სტუდენტი 1969-1974 წლებში, ხოლო როგორც ლექტორი — 1975 წლიდან დღემდე). ჩემი ცხოვრების ძირითად ნაწილს საუნივერსიტეტო ცხოვრებას ვუთმობ. ვცდილობ, წვლილი შევიტანო საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში. ამ პერიოდის მანძილზე შექმნილი და გამოცემული მაქვს რამდენიმე სახელმძღვანელო ინფორმატიკაში, რომელიც დღემდე წარმატებით გამოიყენება საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ასევე, ამ მიზნით, 2005 წელს, ზვიად სიჭინავასთან ერთად, შევიმუშავე კომპიუტერული წესით ტესტირების გამოცდების ჩატარების ორიგინალური კლიენტ-სერვერული პროგრამა — TEGAPR, რომლითაც ჩვენს

ფაკულტეტზე დღემდე ტარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები. მან საკმაოდ დახვეწა სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი მართვის პროცესი. ამჟამად ვმუშაობთ აღნიშნული პროგრამის სრულყოფის მიმართულებით.

2013 წლიდან ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი ვარ. ამ პერიოდის მანძილზე გავაუმჯობესე კათედრის ინფრასტრუქტურა და შევექმენი სრულიად ახალი ინოვაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია.

შეძლებისდაგვარად ვცდილობ, კვლავაც წაყოფიერად გავაგრძელო ჩემი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.

თსუ ჩემი მეორე ოჯახია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე 1971 წელს ჩავირიცხე, რომელიც 1976 წელს წარჩინებით დავამთავრე (მე-ამაყება, რომ ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის სტიპენდიანტი), ამავე წელს ჩავირიცხე ასპირანტურაში, ამავედროულად არჩეული ვიყავი თსუ-ის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ალმა მატერის კედლებში აღვიქვი და შევისისხლორცე თავმდაბლობის, საკუთარ თავზე მუშაობის, სიდინჯისა და სიტყვის ფასი, რომელიც ჩემი განვლილი ცხოვრების არც თუ ისე იოლ გზაზე ბევრჯერ გამომდგომა.

როგორ შეიძლება დავვიწყო უნივერსიტეტის მიერ ჩემდამი გამოხატული ყურადღება და სიკეთე, როცა ჯერ კიდევ მე-3 კურსზე სწავლის პერიოდში „წარჩინებით სწავლისა და მამაცობისათვის“ პირველად წარმადგინეს უმაღლესი ჯილდო — „საპატიო ნიშნის ორდენი“, რომელიც 1974 წელს მივიღე. ეს ხომ ჩემთვის ცხოვრების უდიდესი სტიმული გახდა!

რამდენი სიხარული და პატივისცემა მაქვს მიღებული უნივერსიტეტის კედლებში რექტორატისა (რექტორები: აკადემიკოსი ილია ვეკუა, პროფესორი დავით ჩიკვიშვილი) და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან.



მიხეილ ჩიკვილაძე, ასოცირებული პროფესორი

არასდროს დამავიწყდება 1978 წლის 14 აპრილის დღე თსუ-ში — როგორი ერთსულოვნება სუფევდა თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტობას შორის. ამ დღემ კიდევ ერთხელ აჩვენა მთელ მსოფლიოს — თუ რა შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან მხოლოდ სა-

ქართველომ შეძლო დაეცვა და შეენარჩუნებინა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი, რაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეუპოვარი თავდადების ხარჯზე გადაწყდა. ეს არ იყო იმ დროისათვის ადვილი საქმე. რა დამავიწყებს თსუ-ს დამაარსებლის, 100 წელს მიტანებული აკადემიკოს აკაკი შანიძის, პროფესორ სერგი ჯორბენაძის და სხვათა ძალისხმევას. დღესაც ხელთ მაქვს და დიდი რუდუნებით ვინახავ თსუ-ში ამ ღვანჯარაში პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გატარებული შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველ ფოტოებს და სხვა მასალებს.

გარკვეული წლები, სამსახურებრივი გარემოებების გამო, თსუ-სთან განშორება მომიწია — 1978 წლიდან გადამიყვანეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე: ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მთავარი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად (მინისტრის მოადგილედ), შემდეგ კი საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. მალევე დამინიშნეს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების თავმჯდომარედ (მინისტრის სტატუსით) და შემდეგ სახელმწიფო შემოსავლების მინისტრის მოადგილედ გადამიყვანეს.

მიუხედავად საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საქმიანობის დროს საყვედური არ მიმიღია. ჩემი ცხოვრების კრედიტო იყო და იქნება პატიოსანი შრომით კეთილსინდისიერად ცხოვრება. გულშიც კი არ გამივლია მომხვეჭელობა, ქრთამის ალება, სხვის ხარჯზე ყოფნა. გაჭირვების უამს ყოველთვის მაძლიერებდა ჩემი ოჯახისა და უნივერსიტეტის პატივისცემა და სიყვარული. ამის ნათელი დასტურია სწორედ ის, რომ საქართველოს შემოსავლების სამინისტროს გაუქმების შემდეგ თსუ-ს დაუბრუნდი. ის ჩემი მეორე ოჯახია, რომელმაც დიდი ნდობა, პასუხისმგებლობა დამაკისრა. დავინიშნე საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2005 წელს ეკონომიკური პროფილის მქონე 4 ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანად. ამ პოზიციაზე პატიოსნად ვაკეთე ყველაფერი, როგორც სინდისი მკარნახობდა... და როცა შევხედე ვითარებას, რომელიც ჩემი ცხოვრების წესს ეწინააღმდეგებოდა, ჩამოვცილდი ამ საქმეს და დღემდე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვარ.

ალსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიცინის უმაღლესი ჯილდო არა მარტო უნივერსიტეტისათვის, არამედ სრულიად საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. მიღებული მაქვს ღირსების ორდენი და სხვადასხვა ჯილდოები, მაგრამ გულწრფელად ვამბობ: ცხოვრებაში ისეთი სიხარული, რომელიც ამ მედიცინის დაჯილდოებისას განვიცადე, შეუდარებელია! კრიტიკულად ვაჯამებ განვლილი ცხოვრების გზას და შემიძლია სიამაყით ვაღიარო, რომ უნივერსიტეტმა დამაფასა, რომლისთვისაც არასდროს მიღალატია. ეს არ არის ლიტონი სიტყვები — ეს რეალობაა...

ივანე ჯავახიშვილი, რომისა და სტუდენტობის პროტაქციები ალარ ფიგურირებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიცინის ფაკულტეტის, როგორც უნივერსიტეტისთვის, უმაღლესი ჯილდოა.



ჯემალ ხარითონაშვილი, პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოვედი. ჩემი დაუღალავი შრომის შედეგი იყო უნივერსიტეტის დიპლომი, აქ შექმნილი პროფესია, ინტელექტი, კოლეგები და მეგობრები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გარდა, შეთავსებით, კიდევ ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მიმუშავია, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტი ჩემთვის შეუცვლელია.

უნივერსიტეტს ვუსურვებდი ბოლომდე შეენარჩუნებინოს ისეთივე სისუბილესი, როგორც ივანე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა. უნივერსიტეტი სულ უნდა ვითარდებოდეს და აღმავალი გზით მიდიოდა.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი დღევანდელი განზომილებებით კავკასიის რეგიონში კვლავ მონივნავ პოზიციას. მიღწევები ბევრია, გასაკეთებელიც — საკმაოდ ბევრი...

მიმდინარე საუკუნეში ჩატარებული რეფორმა შეიძლება პოზიტიურად ჩაითვალოს, მაგრამ რიგი ნაკლოვანებები კვლავ მოითხოვს ყურადღებას.

განათლების რეფორმის წარმატებულ ნაბიჯად მიმაჩნია ის, რომ, ეროვნული გამოცდების ფილტრის გავლით, თსუ-ში უკეთესი კონტინგენტი მოდის. იმას მოვესწარით, რომ მისაღებ გამოცდებზე და სტუდენტებშიც პროტექციები აღარ ფიგურირებს, მაგრამ გარკვეული ხარვეზები აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსებში შეინიშნება.



ქართული არქეოლოგიური მემკვიდრეობის დიდი დანახარები

სრიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით ნარეულად კვალს ტოვებენ ჩვენს ვცხოვრებაში. ნიჭიერი მეცნიერი, უკეთესობისადმი ადამიანი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი — ასეთი იყო და ასეთად გვემსახურება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი გურამ ლოთიფანიძე სხვადასხვა თაობის სტუდენტებს, მის თანამშრომლებს და ყველას, ვინც მას იცნობდა.

გურამ ლოთიფანიძე გახლდათ ქართული არქეოლოგიური კვლევის უთვალსაზრისო ნარეულად გენეტი. მან სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რთული გზა განვლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში. ბატონი გურამი აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩინდა ქართული მეცნიერების პრესტიჟს. მას ხშირად ინვესტორებს ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხსენებებით გამოდიოდა ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. მის მიერ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ჩატარებული საჯარო ლექციის — „საქართველოს არქეოლოგია“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. 2014 წელს რუსმა პროფესორმა, არქეოლოგმა ოლგა მუსევესკაიამ თავის მონოგრაფიაში — „Некрополь Беляуса“ სამადლობელი წერილი მიუძღვნა ბატონ გურამ ლოთიფანიძეს, როგორც დიდ მეცნიერს, ყურადღებიან კოლეგას და კეთილშობილ ადამიანს. გურამ ლოთიფანიძის ნაშრომები მუდამ იმსახურებდა სპეციალისტთა დიდ ყურადღებას. მის მიერ ჩატარებული მეცნიერ-

ული კვლევების შედეგები ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომელთა რაოდენობა 250 აღწევს. მათ შორისაა 13 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 4 ბროშურა. მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის, როგორც წარმატებული მეცნიერი, შეყვანილია საქართველოს ბიოგრაფიულ ცნობარში — „ვინ ვინ არის საქართველოში“; დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით (N01158, 11.08.1998); ექვთიმე თაყაიშვილის მედლით (N001, 20.05.2003); ივანე ჯავახიშვილის მედლით (N279, 27.05.2004); მიხეილ ლერმონტოვის მედლით (N472, 2007); ილია მეორეს მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის პატივდების სიგელით (09.02.2015); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მედლით (04.10.2018); ისრაელის საელჩოს საპატიო სიგელით (04.10.2018).

თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბები. მისი ინიციატივით ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც იგი 1985-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. მან შეძლო შედარებით მოკლე დროში მოეზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა საპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: „ქართული კულტურის ისტორია“ (1997 წ.) და „კულტუროლოგია“ (2003 წ.). მისმა მონაწილეობამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოსახტულად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლოთიფანიძის არჩევან: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის — „სეფერის“ — აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH)



უიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ფურნალის „Pro Georgia“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. წლების მანძილზე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფურნალის — „ჩვენი მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულის, „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული „არქეოლოგიური კომისიის“ წევრი, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი (2008 წლიდან-სიცოცხლის ბოლომდე); თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) ბატონი გურამი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვლევითი ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი. ბოლო რამდენიმე წელი ის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრე-

ზიდუმთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარე — აკად. ვ. პარკაძის საქმის გამგარძელებელი.

დიდა მისი ღვაწლი ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდა. დიდი ინტერესით სარგებლობდა მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა — ისტორიის შესწავლის ობიექტი. ბატონი გურამი მისაბადი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის — სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძობდნენ ფაქიზ, გამორჩეულადამიანურ სიტბოსა და გულისხმიერებას.

ბატონმა გურამ ლოთიფანიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ამას ადასტურებს მის მიერ განვლილი გზის ობიექტური ანალიზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მაღალადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები. მუდამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით გადატვირთული, მაინც გამონახავდა დროს, დახმარება გაეწია ახალგაზრდა კოლეგებისთვის, წაეკითხა მათი მოხსენებებისა თუ სტატიის ტექსტი, მიეცა საჭირო რჩევა-დარიგებანი. იგი იყო მრავალი სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტი. მისი მეგობრები, მისი აღზრდილი სტუდენტები, დღეს უკვე მისი კოლეგები ყოველთვის აღნიშნავენ მის ადამიანურ სიტბოს და გულისხმიერებას. დასაბამია, რომ ასეთი დიდი ადამიანი აღარ არის ჩვენს გვერდით. ბატონი გურამის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ქართული არქეოლოგიური მეცნიერებისთვის, ასევე მისი ოჯახისთვის, კოლეგებისა და მეგობრებისთვის. მისი მემკვიდრეობის შეფასება კი მომავლის საქმეა.

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისრაელის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები

ქართული სამართლებრივი აზრის მკვლევარი


ბარდაცვალა ცნობილი ქართველი იურისტი-მეცნიერი, სამართლის ისტორიის მკვლევარი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან მეტრეველი.

ვალერიან მეტრეველი დაიბადა ონის რაიონის სოფელ უნერაში, 1938 წლის 28 აგვისტოს. 1965 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში იყო ამავე ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის ასპირანტი. 1969 წელს ვალერიან მეტრეველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1980 წელს, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გახდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. ასპირანტურის დასრულების შემდეგ იგი ათეული წლები მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1985-1990 წლებში იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი. 1994-2005 წლებში იყო სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე.

ვალერიან მეტრეველი გახლდათ ქართველ იურისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი. იგი ვალდებულად სტუდენტი ახალგაზრდობის წინაშე. მისი მრავალი სტუდენტი დღეს ცნობილი და წარმატებული იურისტი. მან არაერთი იურისტი მეცნიერი აღზარდა. ბევრმა მათგანმა მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია. მრავალმხრივი იყო მისი პედაგოგიური საქმიანობა. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იგი კითხულობდა სალექციო კურსებს: ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიაში, ქართული სამართლის ისტორიაში, რომის სამართლის საფუძველებში, სამართლის ზოგად ისტორიაში. იგი არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი ობიექტი იყო ქართული სამართლებრივი აზრის ისტორია. ასევე ნაშრომები შესრულებული აქვს ქართული სამართლის ისტორიისა და რომის სამართალში. განსაკუთრებულია მისი წვლილი ქართველოლოგიური იურიდიული დარგების მეცნიერული კვლევისა და სწავლების საქმეში. მის ნაშრომებში სიღრმისეულადაა წარმოჩენილი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების იურიდიული მსოფლმხედველობის განსხვავებული ნახაზები, რაც დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები მან სწორედ ქართული სამართლებრივი კულტურის კვლევას დაუთმო. ასევე დასაფასებელია მისი როლი საქართველოში რომის სამართლის სწავლების საქმეში. მას კარგად ესმოდა - თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იურისტი სტუდენტების სამართლებრივი აზროვნების განვითარებისთვის რომის სამართლის საფუძველების მაღალ დონეზე სწავლებას, რისთვისაც მან ძალისხმევა არ დაიშურა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართულ ენაზე რომის სამართლის წყაროების (ინსტიტუციების, დიგესტების) პირველი თარგმანის ხელშეწყობის საქმეში.

მისი ძირითადი ნაშრომებია: ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977 წ.); ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი (გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1980 წ.); აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980 წ.); ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983 წ.); ილია ჭავჭავაძე სამართლის წარმოშობისა და არსის შესახებ (საბჭოთა სამართალი, 1968 წ., №3, გვ. 62-68), ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმ-



წიფოს შესახებ (საბჭოთა სამართალი, 1968 წ., №6, გვ. 74-83), ილია ჭავჭავაძის შეხედულება პირობით მსჯავრზე (საბჭოთა სამართალი, 1969 წ., №6, გვ. 54-61), ილია ჭავჭავაძე დანაშაულის არსის შესახებ (საბჭოთა სამართალი, 1978 წ., №5, გვ. 51-57), ნიკო ნიკოლაძე სამართლის რაობისა და დანიშნულების შესახებ (საბჭოთა სამართალი, 1975 წ., №4, გვ. 64-69), ნიკო ნიკოლაძე დანაშაულის მიზეზების შესახებ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სერია - სამართალი, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, თბილისი, 1975 წ., ტ. 161, გვ. 31-43), ნიკო ნიკოლაძე, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნის გზების შესახებ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ფურნალისტიკის საკითხები, 1981 წ., №7-8, 333-349), აკაკი წერეთელი სამართლისა და სამართალწარმოების შესახებ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სერია - სამართალი, ფსიქოლოგია,

1981 წ., ტ. 222, გვ. 79-84), აკაკი წერეთელი დანაშაულისა და სასჯელის შესახებ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980 წ., №4, გვ. 90-104), ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ (საბჭოთა სამართალი, 1988 წ., №6, გვ. 58-64), ებრაული სამართლის ქართული ვერსია (სამართალი, 1992 წ., №12, გვ. 39-45), ილია ჭავჭავაძე — იურისტი (ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა მომრიგებულ მოსამართლედ 1864-1873 წლებში და მისი მოსაზრებანი სხვადასხვა იურიდიულ პრობლემათა ირგვლივ — სამართალი, 1997 წ., №9-10, გვ. 4-14), რომის სამართალი და საქართველო (მოხსენება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და იტალიის რომანისტების VII კოლოქვიუმზე, რომი, ლა სამინისტროს უნივერსიტეტი, 1998 წ.), ბაგრატიონთა ღვაწლი ქართულ სამართალში, (სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 80 წლისთავისადმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წ.) და სხვა. ვალერიან მეტრეველი არაერთი სახელმძღვანელო ავტორია, კერძოდ: „ქართული სამართლის ისტორია“, „რომის სამართალი: საფუძველები, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებათა ისტორია“, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძველები“. ვალერიან მეტრეველი ბოლო წლებში ინტენსიურად იკვლევდა ვაჟა-ფშაველას სამართლებრივ შეხედულებებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ისტორიის მიმართულება



შალვა ნუსუბიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის წარღვივა

გოგი გოგოლაშვილი: მისასალმებელია, როდესაც კულტურის მემკვიდრის თავეთვლით მივიჩნევთ მისი უნივერსიტეტის დიდი და ლამაზი ისტორია, რომლის შესახებაც, თავისთავად, საჭირო და აუცილებელია

შარტონია ბაროშვილი

„ღ“ როა, ჩვენი უნივერსიტეტის დიდი დამაარსებლები, რომლებმაც დიდი პერიოდები გამოიარეს და სწორად უსამართლობის მსხვერპლი იყვნენ, „აუდიტორიუმში დაეხმარეთ!“ ისტორია ხელახლა უნდა გაცოცხლდეს! ჩვენი ვალია — მომავალ თაობებს გზა გავუკვალოთ და გავმართოთ ისეთი ღონისძიებები, სადაც უნივერსიტეტის დამაარსებლებსა თუ ღვაწლმოსილ მეცნიერებზე ფილმების ჩვენება, მათზე წიგნების პრეზენტაციები და საუბრები იქნება. სამწუხაროდ, დიდი ხნის მანძილზე ამ კუთხით გარკვეული წყვეტა იყო და ეს ნაკლოვანი მხარე უნდა გამოსწორდეს, ამისთვის კი ბევრი მუშაობაა საჭირო... ამიტომ ამაღლებული და დასაფასებელია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ შემოქმედებითი ჯგუფის ინიციატივა — კიდევ ერთხელ უკვდავყოთ მათი სახელები...“ — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ 17 აპრილს თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის დარბაზში გამართული წიგნის („თავისუფლება ერთი პირობით“ — შალვა ნუსუბიძე — 130) პრეზენტაციაზე.

წიგნის შემდგენელი და რედაქტორია ნინო კაკულია; სარედაქციო საბჭოს წევრები არიან მაია ტორაძე, მანანა ჯურხაძე და თამარ ჩხილაძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის ზაზა გულაშვილს.


პრეზენტაციაზე წიგნის მნიშვნელობაზე თსუ-ის პრორექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ ისაუბრა: „ჩემი აზრით, საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე სრულიად ზედმეტია აკადემიკოს შალვა ნუსუბიძის როლსა და ღვაწლზე საუბარი. მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობა: მის სახელს უკავშირდება ქართული ფილოსოფიური სკოლის დაფუძნება, რომელიც დღესაც ძველმოხალად აგრძელებს გზას. საგულისხმოა, რომ შალვა ნუსუბიძის დაბადებიდან 130 წლისთავი თსუ-ში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა და ამ მოვლენას ეძღვნება ეს წიგნიც, რომელიც ძალიან საინტერესოა თავისი შინაარსით. წიგნში შესული სტატიების ავტორები არიან ფილოსოფიის დარგის ცნობილი მოღვაწეები და თსუ-ის პროფესორები: გურამ თევზაძე, რისმაგ გორდუზიანი, ნატალია თელუვაია, ირაკლი ბრაჭული, აკაკი ყულიჯანაშვილი და სხვები. ვულოცავ უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციას, განსაკუთრებით ნინო კაკულიას და საუნივერსიტეტო საზოგადოებას წიგნის გამოცემას. ყველა ჩვენგანის ვალია — უკვდავყოთ შალვა ნუსუბიძის სახელი, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ — ვინ იყო შალვა ნუსუბიძე და რა როლი

მიუძღვის მას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და მეცნიერების განვითარებაში“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.

ალსანიშნავია, რომ კრებულში შალვა ნუსუბიძის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები წიგნის შემდგენელ მეცნიერის შვილებმა: თამარ და თამაზ ნუსუბიძეებმა მიაწოდეს. პრეზენტაციაზე პროფესორმა თამარ ნუსუბიძემ სახელოვანი მამა კიდევ ერთხელ გაიხსენა: „მიზეზი, რამაც დღეს გაგვადრთინა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა, რადგან რაც მამას უკავშირდება — მნიშვნელოვანია. შალვა ნუსუბიძეს მრავალფეროვანი და ელვადი ცხოვრება ჰქონდა. ეს წიგნი მოიცავს მისი ცხოვრების ყველა ასპექტს — დანაშაულები მისი ახალგაზრდობიდან სიცოცხლის ბოლომდე, ყველა იმ პერიოდებით, რაც მან გამოიარა... აქ დამსწრე საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ მის მიერ განვლილი გზა დიდი სირთულეებისგან შედგებოდა, რაც გამოვლინდა არა მარტო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ, არამედ პირად ცხოვრებაშიც. მიუხედავად ამისა, მამა ძალიან ძლიერი და განსაკუთრებული პიროვნება იყო. იგი არასდროს არ ქმნიდა ოჯახში პრობლემას... მის გვერდით ცხოვრება ზემო იყო. საკმაოდ დიდი ვიყავი, როდესაც გავიზარე, რომ მას რთული ცხოვრება ჰქონდა“, — აღნიშნა თამარ ნუსუბიძემ, რომელმაც პატარა „ოჯახური საიდუმლოებები“ გაანდო დამსწრე საზოგადოებას.

„მამამ ოჯახი გვიან შექმნა, თითქმის 60 წელს მიღწეულმა ცოლად შეირთო 29 წლის ქალი და, თქვენ წარმოიდგინეთ, დედა უფრო ეჭვიანობდა მამაზე, რადგან იგი ქალების ყურადღებას სულ იმსახურებდა. მამა სრულიად განსხვავდებოდა „ჩვეულებრივი“ საბჭოთა მეცნიერებისაგან... გატაცებული იყო ნადირობით, იყო კარგი თამადა... მიხეილ ჯავახიშვილის იუბილეზე რომ თამადა, მეორე დღეს მთელი თბილისი საუბრობდა ამის შესახებ.

იგი ბუნებით შეუპოვარი ადამიანი იყო. ცნობილია სტალინთან მისი შეხვედრა, პოლიტიკური გამოსვლები... მისი ქმედება ხშირად გმირობის ტოლფასი იყო. მან პირადი, ოჯახური ტრაგედიებიც გადაიტანა: ვაჟის და შვილიშვილის დაკარგვა, შემდეგ პატიმრობა, აკადემიიდან გარიცხვა და სხვა, მაგრამ სიცოცხლისადმი სიყვარული მასში ვერაფერმა ჩაახშო... მისი საქმიანობა არ იყო დამოკიდებული თანამდებობებზე თუ სკამზე — სულ სხვა მიზნით ცხოვრობდა. ჩემი აზრით, ძალიან დაგვიანდა შალვა ნუსუბიძის აღიარება... მართალია, მოგვიანებით მისი რეაბილიტაცია მოხდა და დააბრუნეს უნივერსიტეტში, მაგრამ ეს არ იყო რეალური რეაბილიტაცია — ლექციები მაინც არ მისცეს, მთელი თაობები დატოვეს ასეთი დონის ლექტორის გარეშე... ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ აუდიტორიაში არ შეუშვეს, მისთვის არც იუბილე გადაუხდიათ მაშინ, როდესაც საბჭოთა პერიოდში იუბილეების ბუმი იყო... პირველი რექტორი გახლდათ როინ მეტრეველი, რომელმაც მისი სახელობის აუდიტორია გახსნა. 30 წლის გასვლა გახდა საჭირო, რომ აუდიტორიას მისი სახელი მიეწებოდა. სასიამოვნო ფაქტია, რომ მოგვიანებით საერთაშორისო კონფერენციით აღინიშნა მისი იუბილე, მერაბ კოკოჩიაშვილმა ფილმიც გადაიღო და ორი წიგნი გამოიცა: მუზეუმის ინიციატივით და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას თაოსნობით, რომელმაც შეძლო შალვა ნუსუბიძის ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების კარგად წარმოჩენა. იმდენ ვიტყვებ, რომ მომავალში შეიძლება დაინეროს წიგნი, რომელშიც კიდევ ბევრ სიახლეს გაეცნობა მკითხველი“, — განაცხადა თამარ ნუსუბიძემ.



უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელზე კრებულის გამოცემისთვის შემოქმედებითი ჯგუფს მადლობა გადაუხადა გოგი გოგოლაშვილმა, რომელმაც შალვა ნუსუბიძის პიროვნებაზე ისაუბრა: „გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ თითოეული ნომრით იცეხება და იწერება ჩვენი უნივერსიტეტის ისტორია. ამის პარალელურად, იქმნება კინო-ისტორია, რომელიც დიდი მონონებით სარგებლობს საზოგადოებაში. ამასთან, მისასალმებელია, როდესაც პუბლიცისტური ნარკვევების თავმოყრით მიდრეკილია ჩვენი უნივერსიტეტის დიდი და ლამაზი ისტორია, რომლის შესახებაც, თავისთავად, საჭირო და აუცილებელია. შალვა ნუსუბიძე იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, ვიხეც ილია ჭავჭავაძე იტყოდა (და მან ეს სიტყვები დავით აღმაშენებელზე თქვა), რომ ასეთი ადამიანები არა მხოლოდ თავიანთი საქმეების გახსენებით, არამედ მათი სახელის ხსენებითაც გვწვრთნიან და გვზრდიანო. მადლობა იმისთვის, რომ ასეთი წიგნები გამოდის და ასეთ ისტორიებს შეგვახსენებენ. სასიამოვნოა, რომ ამ წიგნს ახალგაზრდებიც გაეცნობან“, — აღნიშნა გოგი გოგოლაშვილმა.

წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება საზოგადოებას თსუ-ის პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა გაუზიარა: „შალვა ნუსუბიძე იმდენად დიდი მეცნიერი იყო, რომ, როდესაც მისი დაჭერა უნდოდათ, წითელი პროფესურა და კომკავშირლებიც კი წერდნენ: დღეს, სამწუხაროდ, მისი შემცველი არ გვყავს და ამიტომ ცოტა ხანს კიდევ უნდა ავიტანოთ. იგი დაჭერილიც იყო, მაგრამ, როგორც პიროვნება, არ გატეხილა და ღირსეულად გააგრძელა ცხოვრება. მადლობა ამ წიგნის შექმნისთვის... იმედია, უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლებზეც ვიხილავთ ასეთ კრებულებს“, — აღნიშნა გიორგი ოთხმეზურმა.

პრეზენტაციას სტუდენტებიც დაესწრნენ და თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს: „დღეს, როდესაც ასე თვალში საცემია პატრიოტული სულიკვებებისა და ეროვნულ-კულტურული ფასეულობების დაკარგვის მცდელობა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა და დაფასება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თსუ-ის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ახალგაზრდა თაობა და საზოგადოება ინფორმირებული იყოს ასეთი მეცნიერების თაობაზე“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე გაბაშვილმა.

როგორც წიგნის — „თავისუფლება ერთი პირობით“ — (შალვა ნუსუბიძე — 130) რედაქტორმა ნინო კაკულიამ პრეზენტაციაზე განაცხადა, სამომავლოდ უნივერსიტეტის დამაარსებლებზე სხვა კრებულების გამოცემაც იგეგმება. უახლოეს მომავალში ივანე ბერიტაშვილისადმი მიძღვნილი კრებულებაც გამოიცემა.



მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

შურნალისტი:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერული
ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჯანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 2 22 36 62

გებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის 1 ოქტომბრიდან გალაცამა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიულ რეგიონულ საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).



თამარ ნუსუბიძე